გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N2 (9182) 21 იანვარი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

**2 619 374 ლარი _ რეგ-ი სამტრედიაში ამ თანხის სამუშაოებს შეასრულებს** 2

## გთხოვთ, მოითმინოთ ... შიმშილი! 4



## ვინ იქნება ლისეული კანდიდატი

## 3 პრემიერი, პრემიები და...

## თავისუფლების ფოეზია 6






## 5 წლეულს მეტი საჩუქარი გაიცა



## წახვედით და მაინც აქ ხართ... 8




## მომავალ ჩახყცეჭამდე! 7

## 2 619 374 ლარი _ რგფ-ი სამტრედიაში ამ თანხის სამუშაოებს შეასრულებს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 იანვრის რიგგარეშე სხდომამ ძირითად საკითხად 2016 წლის რგფ-ის პროგრამით დასაფინანსებელ 2 494 574 ლარზე იმსჯელა. ადგილობრივმა ბიუჯეტმა ზემოაღნიშნული თანხის 5 პროცენტიანი თანადაფინანსება უნდა განახორციელოს, რაც გამოიხატება თანხით 124 800 ლარი. აღნიშნულ საკითხს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობამ მხარი ერთხმად დაუჭირა.

საკრებულოს იმავე სხდომაზე ცალკეულ ააიპებ-ში განხორციელდა შიდა მუხლობრივი ცვლილებები. ძირითადი მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი გახლდათ.

**ნინო ნანიტაშვილი**



## რამდენიმე საჯარო სკოლაში ძველი კარ-ფანჯარა ახლით შეიცვალა

**ნათია ნაცვლიშვილი**



სამტრედიის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლაში სრულიად გამოიცვალა ძველი კარ-ფანჯარა და ახალი მეტალო-პლასტმასის ჩაისვა. ეს სარემონტო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს ხელშეწყობით ტარდება. ამ სამუშაოების მოსანახულებლად მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები რამდენიმე სკოლას ეწვივნენ. მათ შორისაა მე-8 (ჯულიეტა ჩხაიძე) და მელაურის (ნინო ნიკოლეიშვილი) საჯარო სკოლები.



"ჩვენთვის ძალიან სასიხრულო ფაქტია ის, რომ ჩვენი სკოლაც ჩაისვა სარემონტო სამუშაოების ნუსხაში. რამდენიმე წლის წინ ნაწილობრივ შეიცვალა ფანჯრები, იყო 59 ფანჯარა შესაცვლელი და აბსოლუტურად ყველა გამოიცვალა. ამასთანავე, გარე ორი კარიც კეთდება. მინდა მადლობა ვუთხრა მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას, სოფლის წარმომადგენელს, საკრებულოს წევრს, ხვიჩა ფანცულაიას, რომელმაც ძალა და ენერგია არ დაიშურა იმისთვის, რომ ეს რემონტი ჩვენს სკოლაშიც ჩატარებულიყო. ის ჩვენი დიდი გულშემატკივარია. მომავალშიც ბევრი რამ გვჭირდება, სპორტული დარბაზიც საჭიროებს რემონტს. ვიმედოვნებთ, დარბაზიც გვექნება". _ გვითხრა მელაურის საჯარო სკოლის დირექტორმა, ნინო ნიკოლეიშვილმა.



ხვიჩა ფანცულაია, მელაურის მაჟორიტარი დეპუტატი: "გასულ წელს დავუკავშირდი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, ილია კოხრეიძეს, ვესაუბრე ასევე მინისტრ, თამარ სანიკიძეს. ამ სკოლაში ბევრი სამუშაო იყო ჩასატარებელი: ფანჯრების მეტალო-პლასტმასით შეცვლა, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა. ერთად ყველაფერი ვერ მოხერხდება. იმერეთის განყოფილებაში შეიცვალა ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, შოთა კაკაბაძე, რომლის დახმარებითაც და ამ საქმეში ჩარევით მოხერხდა ის, რომ ამ ეტაპზე 59-ვე ფანჯარა გამოიცვალა და ჩაისვა ორმაგი მინა, სავარაუდოდ, მომავალი წლის ბოლომდე მოევლება სველ წერტილებს და დარბაზს. იმედი მაქვს, ეს დაპირებებიც შესრულდება ეტაპობრივად, ჩვენი სკოლაც დაემსგავსება სხვა სკოლებს. მადლობას ვუხდი როგორც ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ასევე, ჩვენს თანაქალაქელ ბატონ კახი კალაძეს, რომელიც ასევე ჩართული იყო ამ საქმეში. ასევე, ქალბატონ თამარ სანიკიძეს და ბატონ შოთა კაკაბაძეს".

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია: " გასულ წელს ანალოგიური სამუშაოები სხვა სკოლებში ჩატარდა. განათლების სამინისტროს სხვა სკოლების ნუსხაც მივაწოდეთ, ამჯერად, ამ ეტაპზე ეს სკოლები დაკმაყოფილდნენ. მომავალში სხვებიც დაკმაყოფილდებიან. ძირითადად ისეთ სკოლებს მიენიჭათ პრიორიტეტი, სადაც ფანჯრები არ იღებოდა. ჩვენი შუამდგომლობით გაიგზავნა განათლების სამინისტროში მოთხოვნა, ამ სკოლებშიც გამოცვლილიყო ძველი და ჩასმულიყო მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა. აუცილებლად ვეწვევი ყველა სკოლას და სამუშაოებს ადგილზევე მოვინახულებ".

ძველი კარ-ფანჯრები ამ ეტაპზე ასევე გამოიცვალა ნიგორზღვის, გომის და ჩხენიშის საჯარო სკოლებში.

## ვინ იქნება ღირსეული კანდიდატი

29 დეკემბერს დასრულდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ვაკანტურ თანამდებობებზე განცხადებების მიღება.

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში 4 ვაკანტურ ადგილზე 11 განაცხადია დაფიქსირებული. კანდიდატები არიან: ნანა იმნაძე, ნინო ვაშაკიძე, მარიკა ბოკელავაძე, ლელა მელქაძე, გელა ლაღიძე, ალექსანდრე ხუჭუა, კობა სიხარულიძე, მამუკა ახობაძე, ირაკლი ადეიშვილი, მიხეილ ცქიტიშვილი, ფიქრია გოგუაძე.



მიხეილ ცქიტიშვილი და ფიქრია გოგუაძე სამტრედიელები არ არიან, დანარჩენი 9 კი ადგილობრივი მცხოვრებია და უმრავლესობას საოლქო საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება გააჩნია. ისინი საოლქო საარჩევნო კომისიაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა პარტიების მიერ იყვნენ წარმოდგენილები. რაც შეეხება დღემდე მოქმედ 4 წევრს, მამუკა ახობაძეს, ალექსანდრე ხუჭუას, კობა სიხარულიძეს და გელა ლაღაძეს, როგორც თავად განმარტავენ, ისინი 2006 წელს იქნენ არჩეულები, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები.

მამუკა ახობაძე, 54-ე სამტრედიის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: "ყველა კონკურსანტს წარმატებას ვუსურვებ. მინდა, ჩვენი კომისია კვალიფიციური, განათლებული, გაწონასწორებული ადამიანებით იყოს დაკომპლექტებული. ალეკოსთან, გელასთან, კობასთან და სოფოსთან ერთად მე-10 წელია, ვმუშაობ. რაც ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ იტყვის აუგს ჩვენს მიკერძოებასა და არაპროფესიონალიზმზე. სამტრედიის ოლქი ყოველთვის გამოირჩეოდა დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის, რისთვისაც არაერთხელ მიგვიღია მადლობის სიგელი, მათ შორის ფულადი ჯილდოც".



საარჩევნო კოდექსი არ უკრძალავს პოლიტიკური პარტიების მიერ არჩეული საოლქო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატებს კონკურსში მონაწილეობას. თუმცა გამარჯვების შემთხვევაში, იგივე კანონით, მათ ეკრძალებათ პარტიული საქმიანობა, ამდენად, ისინი არჩევიდან 1 კვირის ვადაში ვალდებულნი არიან, დატოვონ პოლიტიკური პარტია.

ნანა იმნაძე 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან ააიპი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილედ მუშაობს. თანამშრომლები ზოგადად მას დადებით პიროვნებად ახასიათებენ. ცესკოს მხრიდან არჩევის შემთხვევაში ნანა იმნაძეს დირექტორის მოადგილის თანამდებობის დატოვება არ მოუწევს, თუ იგი კომისიის რიგითი წევრი იქნება. თუმცა წინასწარ იცის, რომ აუცილებლად უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკურ პარტიას, რომლის აქტიურ მხარდამჭერად 2012 წლიდან ფიქსირდება.

"სამტრედიის მაცნე" ამ დღეებში კომისიის წევრობის ერთ-ერთ კანდიდატს, ნანა იმნაძეს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა.

ნანა იმნაძე, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი: "სამტრედიის მოსახლეობა ნამდვილად მხედავდა, როგორც კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერს. 2 არჩევნებზე ვმუშაობდი საოლქო საარჩევნო კომისიის რიგით წევრად. რადგან გამოცხადდა 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში კონკურსი, გამიჩნდა სურვილი, მიმეღო მონაწილეობა. ცესკოში 16 დეკემბერს დავრეგისტრირდი. ამჯერად კონკურსის შედეგებს ველოდები. სავარაუდოდ, თებერვლის შუა რიცხვებისთვის გვექნება ინფორმაცია, რომელ კანდიდატებს მიანიჭებენ უპირატესობას. ინფორმაცია იქნება გამჭვირვალე, ელექტრონულად, თუ რომელმა კანდიდატმა რამდენი ხმა დააგროვა. 13 კომისიის წევრი გადაწყვეტს, საოლქო საარჩევნო კომისიისთვის ვინ იქნება ღირსეული კანდიდატი".

**ნინო ნანიტაშვილი**

# პრემიერი, პრემიები და...

ლევან გაბეჩავა

***წინასაახალწლო "პოლიტიკური სიურპრიზი" _ ასე შეიძლება შეფასდეს აწ უკვე ყოფილი პრემიერის, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის თანამდებობიდან წასვლა.***

***მოულოდნელი, არაერთი პასუხგაუცემელი კითხვის აღმძვრელი იყო ახალგაზრდა, ბევრისგან გამორჩეული ლიდერის თამაშგარე პოზიციაში გადანაცვლება, მით უფრო მას შემდეგ, რაც მან ხალხს ერთგვარი ანგარიში ჩააბარა სამი წლის მანძილზე მთავრობის მიერ შესრულებული სამუშაოების, განხორციელებული ღონისძიებების, საქმიანობის შესახებ.***





კადრები წყვეტენ ყველაფერს!

კომუნისტებისდროინდელია ეს ლოზუნგი, გნებავთ, სიტყვები, თუმცა, საოცარი ჭეშმარიტებაა მათში.

არ უნდა იყოს სადავო, რომ მინისტრი, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე მას შემდეგ კი არ უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკურ ფიგურად, სახელმწიფო მოხელედ, როცა თანამდებობაზე დაჰყოფს რამდენიმე წელს, არამედ, უკვე საქმეში გარკვეულები, კონკრეტული სამინისტროს, უწყების სპეციფიკაში კარგად ჩახედულები უნდა დაინიშნონ ლიდერებად, მინისტრებად.

უბრალოდ რომ ვთქვათ, მოსახლეობა, ხალხი გაოცებული არ უნდა აღმოჩნდეს თანამდებობებზე მავანთა დანიშვნით, არ უნდა გაუჩნდეს საზოგადოებას კითხვა: საიდან სად(ო)?



ასე თუ ისე ბატონი, ღარიბაშვილის ადვოკატობას ნამდვილად არ ვაპირებ, საამისო არც პრეტენზია გვაქვს და მით უფრო, არც კომპეტენცია, მაგრამ ერთი ნამდვილად გვაინტერესებს: თუ უკვე მოქმედი პრემიერი, ბატონი კვირიკაშვილი ესოდენ აღიარებული, გამოკვეთილი ფიგურაა, ქვეყანას, ხალხს მალე უნდა დაეტყოს აღორძინება, უკეთესი ყოფა, შეგახსენებთ, ბატონი კვირიკაშვილი გაპრემიერებამდე რამდენიმე თვის დანიშნული გახლდათ საგარეო უწყების ხელმძღვანელად _ საგარეო საქმეთა მინისტრად, მანამდე კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გახლდათ.

ძირითად სათქმელამდე მივედით.

არ უნდა იყოს მომგებიანი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკურ არენაზე არათუ პრემიერების, მინისტრების მალიმალ ცვლაც კი...

ერთი, ორი წელი მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, რომ ახალი მინისტრი გაეცნოს დარგის ძირითად მიმართულებებს, კადრებს, საზოგადოებას, პარტნიორ სამთავრობო და არსამთავრობო ორგანიზაციებს და ა. შ.

უფრო მეტიც, არ ვიცით, ამ ჯერზე როგორ მოხდება, მაგრამ ხშირად მინისტრების, პრემიერის ცვლას საქვეუწყებო ცვლილებებიც თან ახლავს. რაც ყველაზე მეტად მიუღებელია, მავანთა დანიშვნა არდანიშვნაზე მსჯელობაში, დაპირისპირებებში, ერთმანეთზე კომპრომატების გამოქექვაში იხარჯება ის ძვირფასი დრო, რაც ქვეყნის, დარგის, სფეროს, რეგიონის... აღორძინებას უნდა დაეთმოს.

თუ ასე გაგრძელდა, 5-10 წელიწადში საქართველოში არაზუსტი სტატისტიკით რომ ვთქვათ, ყოველი მეათე თუ არა, მეოცე მცხოვრები მაინც ან ყოფილი მინისტრი, ან მინისტრის ყოფილი მოადგილე იქნება!

არ გვგონია, ქვეყანას წაადგეს სასიკეთოდ ყოველივე.

ასე იყო, არაფერი შეცვლილა, მოვიდა წინა, იმის წინა პრემიერი, პრეზიდენტი... მიულოცეს საზღვარგარეთელმა კოლეგებმა, გამოთქვეს სურვილი ორმხრივი თანამშრომლობისა, ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობაში, ხალხის ყოფითი დონის ამაღლებაში რომ უნდა ყოფილიყო გამოხატული.

ასე იქნება მომავალშიც. ჩვენთვის, ხალხისთვის კი მთავარზე უმთავრესია არა ის, ვინ იქნება ქვეყნის ლიდერი, არამედ ის, როგორ განვითარდება ქვეყანა, ვიგრძნობთ კი ხალხი ოდნავ შვებას მაინც?

ყველაფერი რომ დამწამონ, კომუნისტ ფუნქციონერობას ვერავინ დამაბრალებს, ამდენად, ჯიუტად ვიტყვი: დიახ, კადრები წყვეტენ ყველაფერს!

## რა ხდება?

თანამედროვე ქართველებს ერთი ბედნიერება უეჭველად გვარგუნა უფალმა, რამეთუ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის მწყემსმთავრობის ხანაში გვიწევს ცხოვრება. დღედაღამ ჩვენი ცოდვების შემსუბუქებისათვის, ქვეყნის აღორძინება-განვითარებისათვის იღვწის მისი უწმინდესობა.

ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს მის ყოველ ქადაგებას, ერთი სიტყვით, ილია მეორე, როგორც მას სრულად დამსახურებულად უწოდეს _ მეორე ილია, (ჭავჭავაძე _წმინდა ილია მართალი) შეუძლებელს აკეთებს სამწყსოსათვის და ამ დროს ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენდა სავალალოდ, ჩვენდა სამარცხვინოდ საქართველოში ქართველი კაცი მის უწმინდესობას დაუმსახურებელ კონტექსტში ახსენებს...

საოცარია ისიც, რომ ეს ხდება იმ "ცოცხალი წმინდანის" მიმართ, ვისაც არათუ ქრისტიანული სამყარო, სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებიც განუზომელ პატივს სცემენ მარად დაუღალავი მოღვაწეობის გამო.

ნუთუ ასე დავკნინდით?

დავეცით?

გადავგვარდით?..

რა ხდება?

## პრემიები, სახელფასო დანამატები

დიდი ხანია, პოლიტიკურ არენაზე პოზიცია-ოპოზიციას შორის საჯილდაო ქვადაა ქცეული.

მმართველი ძალა ყოფილ მმართველებს, ყოფილები კიდევ ამჟამად მოქმედთ გაუთავებლად აყვედრიან დაუმსახურებლად აღებულ-მიღებულ პრემიებს, სახელფასო დანამატებს, რომელთა საერთო ჯამი ასეულ ათასს შეადგენს.

შედეგი?

ნულოვანი.

ჩვენ ვიყვირებთ, გამოვამზეურებთ ერთურთის ცოდვებს, ხალხი კი, ხალხი გაიოცებს და მორჩა ფიქრობენ ალბათ.

მიდის დრო.

გასულ წლებში გარკვეული კატეგორიის მომუშავეებზე წლიური დანამატის სახით დაუბეგრავი მინიმუმი გაიცა 360 ლარი.

მავანთათვის ეს თანხა მზესუმზირის ფულია, მავანთათვის კი დიდი ნუგეში.

იყო მოარული ხმები შარშან, გაისად 360 ლარი არ გაიცემა, ეს თანხა ყოველთვიურ ხელფასზე გადანაწილდებაო.

მაგრამ ერთი ლექსისა არ იყოს – ვუყურებთ ცხოვრების ნარცისს, არც ის, არც ის და არც ის. ე. ი. არც 360 ლარი მოგვცეს დაუბეგრავი მინიმუმი და არც თვეებზე ხდება მისი გადამატება?!

ვითომდა რა, ხალხის ყოფა გაუმჯობესდა?

არა, ნამდვილად არა.

იქნებ დაგვცინიან კიდეც?

## ისევ პრემიერზე

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახალი მეთაური, საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს.

ვიდრე ქვეყნის ძირითად კანონში _ კონსტიტუციაში არ თუ ვერ ჩახედილები პრეზიდენტ-პრემიერს შორის პირველ მეორე კაცობას არკვევენ, გვინდა ვირწმუნოთ, რომ პრემიერ კვირიკაშვილის დროს ქვეყანაში წარმოუდგენელი წინსვლა თუ არ დაფიქსირდება, შესამჩნევი მაინც გახდება ქვეყნის, ცალკეული დარგების აღმასვლა, გაუმჯობესდება სოციალური დონე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მეტი გაკეთდება საიმისოდ, რომ სახელმწიფო მოხელეთა, ჩინოვნიკთა, ხალხის აზროვნება თვეების, წლების მანძილზე დაუსრულებელ გაჭიანურებული სასამართლო პროცესებისკენ კი არ იყოს ფოკუსირებული, არამედ იმ აურაცხელი პრობლემების მოგვარებისაკენ, ერსა და ბერს ერთნაირად რომ აწვალებს.

---

რეპლიკა

# აკვანი სანაგვეში?



15 იანვარს, ბედობა დილა გათენდა, მე და ნათია ნაცვლიშვილი სამუშაო ოთახში ვსხედვართ. ჩვენი უმცროსი კოლეგა შოთიკო პაპავა შემოვიდა, ბედობა მოგვილოცა და გაოცებულმა გვთხოვა, ფანჯარაში გაიხედეთო.

გავიხედეთ და მართლაც გავოცდით. სანაგვე ურნაში მამაპაპისეული აკვანი ეგდო.

დედურმა, ქალურმა ინსტიქტმა იმძლავრა, დახმარება არც კი გვთხოვა, ისე დაეშვა კიბეზე ნათია და აკვანი ურნიდან ამოიღო. იშვიათი ნივთის საბოლოო ბედზეც იზრუნა მან და მყისიერად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს დაუკავშირდა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შეატყობინეთ, აკვანი დროებით რედაქციის საცავში ინახებაო. მალე აკვანი მუზეუმის ექსპონატი გახდება.

აკვნის მთლელების, აკვანში მოღუღუნე ჩვილთა, უბრალოდ აკვანთა სიმრავლეს, ნატრულობდა ოდითგანვე ქართველი, დღეს კი...

აკვანი სანაგვეში?!

ნუთუ ისე გავევროპელდით, რომ დავივიწყეთ ჩვენი კულტურა, ფესვები...

აკი ევროპაში ტრადიციებით შევალთო?!

*ლევან გაბეჩავა*

# გთხოვთ, მოითმინოთ ... შიმშილი!

ლევან გაბეჩავა

ჯერ კიდევ ზაფხულში ვწერდით თხოვნის შემცველ, მავანთათვის ყურადსაღებ წერილს იმის თაობაზე, რომ ტენდერი, რომელიც იმ ორგანიზაციას გამოავლენდა, რომელიც სოციალურად დაუცველ სამტრედიელთა პურით მომარაგებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი, ისე ჩატარებულიყო, რომ პურის მიწოდება არ შეწყვეტოდათ ბენეფიციარებს.

სამწუხაროდ, ამ წერილსაც იგივე ბედი ეწია, რაც სხვას, ბენეფიციარები კი დგანან და ელიან.

როდის ჩატარდება ტენდერი.

როდის გამოვლინდება გამარჯვებული ორგანიზაცია.

როდის განახლდება პურით მათი მომარაგება...

ჯიუტად არ გვინდა, ეჭვი შევიტანოთ ვინმეს ღვთისნიერებაში, გულწრფელობაში, მაგრამ პასუხი ნამდვილად ვერ გვიპოვია ერთ კითხვაზე: მაშინ, როცა წინასაახალწლოდ, საშობაოდ, სოციალურად დაუცველ ადამიანთა, სათნოების სახლების ბინადართა, მრავალშვილიან ოჯახთა სანოვაგით, ტკბილეულით დატვირთულ სახელმწიფო მოხელეთაგან მონახულების ბუმია, პარალელურად ზემოთ ხსენებული კატეგორია პურის (?!) გარეშე არათუ დღეების, მხოლოდ ერთი დღითაც რატომ უნდა რჩებოდნენ?

"რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ყოველივე, გამოსავალი უნდა მოიძებნოს სიტუაციიდან. არ უნდა იყოს ძნელი მსგავს შემთხვევებში გამარტივებული წესით ჩატარდეს ტენდერი, რათა წყვეტა არ მოხდეს ბენეფიციართა პურით მომარაგებაში" განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი ლეჟავამ. გასათვალისწინებელია ისიც რომ მაშინ, როცა სამტრედიაში პურის საცხობთა ბუმია, წინა წლების რეალობით თუ ვიმსჯელებთ, ბენეფიციართათვის პური სხვა რაიონიდან (?) შემოდიოდა!



მადლს თუ ვშვებით, ისიც შეიძლება ამ ადამიანებს კუთვნილი პური საცხოვრებელ ადგილების მიხედვით, უახლოეს მაღაზიებში მივუტანოთ, რათა საათობით არ მოუწიოთ ლოდინი პურის მისაღებად.

ხომ არ დადგა დრო, მსგავს საკითხებზე სიღრმისეულად დაფიქრებისა? ძნელია, ადამიანს, რომელიც მზის ამოსვლასავით ელის კვირაში იმ ორი თუ სამი დღის მოსვლას, როცა პური უნდა აიღოს, უთხრა:

გთხოვთ, მოითმინოთ!

და რა მოითმინონ, შიმშილი??

***P.S. 18 იანვარს განახლდა ბენეფიციართათვის პურის მიწოდება.***

# ერმა თავი უნდა გადაირჩინოს!
## საქართველოს მოსახლეობის გასაგონად!

*ეს არის ჩემი საფიქრალი: ან გავნათლდეთ და ან გავმრავლდეთ,*
*ორივე ერთად თუ მოხერხდება, ის უკეთესია.*

ვაჟა-ფშაველა

თანამემამულენო, 2015 წლის 11 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენლებმა მოისმინეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მამულიშვილის, დემოგრაფის, პროფესორ ანზორ თოთაძის გულისმომკვლელი, მაგრამ მაინც ოპტიმისტური... მოხსენება: მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფა ერმა უნდა აიცილოს! ანუ ერმა თავი უნდა გადაირჩინოს! რასაც აუცილებლად ვიზიარებთ და ყველა ვუერთდებით სამტრედიელ მევაგონეთა (უფროსი ავთანდილ ტორონჯაძე, საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ისიდორე ჯანელიძე) ცენტრალურ პრესაში სამგზის გახმიანებულ მოწოდებას: 1. "ცუდას რად უნდა მტერობა..." ხმა ღვთისა, ხმა ერისა სამტრედიიდან (გაზ "სრ" 24.10.2008), 2. "საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ფონდს ყველა ქართველი უნდა შეეწიოს!" დევიზი: დიდი საქმენი "წვრილი ერის" თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნების (გაზ. "სრ" 26.04.2013), 3. "ნათქვამია, ღმერთი სამობით არისო", (გაზ. "ლს" 23.05.2014 წ.)

"გაეროს მონაცემებით, საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა და თუ პრობლემას დროზე არ ვუშველეთ, თუ თანმიმდევრულ და, ამავე დროს, სასწრაფო ნაბიჯებს არ გადავდგამთ, ეჭვქვეშ დადგება ქართული სახელმწიფოს ფიზიკური გადარჩენა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მთლიანად ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოზეა დამოკიდებული... თუმცა, პრობლემა იმდენად დიდია, რომ ჩვენი საზოგადოების ღრმად გააზრებული და აქტიური მხარდაჭერის გარეშე, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი, დიდი ძალისხმევის გარეშე, ვერ გავუმკლავდებით", _ სამართლიანად წუხს ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრი.

ზემოთ მოყვანილ შინაარსიან მოსაზრებებს სამტრედიელი რკინიგზელები, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ. რკინიგზა კი, როგორც მოგეხსენებათ, ლიანდაგით იწყება და ჩვენც ასე დავიწყოთ: "საქართველოს რკინიგზის" დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს უფროსი ლევან ლომაძე; სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს უფროსი ლაშა შენგელია, სამტრედიის სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სამმართველოს უფროსი ბათლომე თავაძე, სტს სამტრედიის კვანძის უფროსი თამაზ ნინუა, "საქართველოს რკინიგზის" ელექტრო სამონტაჟო სამმართველოს უფროსი მერაბ სტურუა, "საქართველოს რკინიგზის" დასავლეთის ელექტრო მომარაგების სამმართველოს უფროსი ზურაბ გოგოხია, "საქართველოს რკინიგზის" გენერალური ინსპექციის დასავლეთ რეგიონის მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექციის უფროსი რობერტ ამაღლობელი, დასავლეთ რეგიონის საგანგებო სიტუაციათა ცენტრის უფროსი ვალერი გრიგოლავა, "საქართველოს რკინიგზის" ფილიალის სატვირთო გადაზიდვების სადგურ სამტრედიის უფროსი გენადი ნიკოლეიშვილი და, რა თქმა უნდა, მათთან ერთად ყველა სამტრედიელი ვფიქრობთ, რომ აწ უკვე მყარად ძალაში შესული XXI საუკუნეში და მესამე ათასწლეულის გარიჟრაჟზე, ჩვენს ერს და ქვეყანას სულმნათი, გენიოსი ვაჟა-ფშაველას ორივე სურვილის (განათლება-გამრავლება) შერწყმა-აღსრულება და საქართველოს ექსპრემიერ-მინისტრის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მყარ, ლოგიკურ ფორმულირებად ჩამოყალიბებული მკაცრი, მაგრამ ობიექტური სინამდვილე და მისი არიდების ან თუ მისგან განკურნების, მზა წამლის რეცეპტის ერთ-ერთი და არცთუ ისე იოლად ხელწამოსაკრავი კომპონენტი, ზემოთ ხსენებული მე-2 წერილის ქვესათაურად გვაქვს გამოტანილი, "დიდი საქმენი "წვრილი ერის" თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნების!" ჰოდა, იმ "წვრილი ერის" განუყოფელი ერთი ნაწილი სამტრედიელებიც ვართ.

ასე რომ, ღვთისმშობლის წილხვედრ ამ ჩვენს ქვეყანას ქართველები და აფხაზები ვაძლევთ სახელს და ღმერთმა საქართველოს მტერი და ორგული არ მოასწროს, რომ ჩვენს სამშობლოში უმთავრესი, ანუ ტიტულოვანი ერის უფლება თუ პოზიცია ოდესმე დავთმოთ.

და მაინც, მოწოდებასავით გამოგვდის, შინ და ქვეყნის გარეთ მცხოვრებო ძვირფასო თანამემამულენო! იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი ქართველი ბავშვი ჟღურტულებდეს მშობლიურ მიწაზე, ამიტომაც უნდა იყოს ის ჩვენი დიდი გაერთიანება თუ კუთვნილებაზე მაღლა მდგომი, მამულიშვილური ერთობა, რომლის მასაზრდოვებელ და მამოძრავებელ წყაროს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების იერარქიული კიბის ყველა საფეხურზე მდგომი თუ მყოფი ქართველი _ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან დაწყებული, რიგითი ადამიანით დამთავრებული.

ერთი სიტყვით, შინ თუ გარეთ მცხოვრებო ერო და ბერო, ვინც კი ვმუშაობთ ამ საშვილიშვილო საქმისთვის, ყველამ გავიღოთ, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით, ჩვენი კუთვნილი, ხელფასის 1,0 პროცენტი და ყოველთვიურად, ორგანიზებულად გადავრიცხოთ "საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდში", რომლის ინიციატივებით ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრებს შორის ყველაზე ახალგაზრდა, გულწმინდა და გულქართლი, აწ უკვე უხმაუროდ გადამდგარი პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის კაბინეტმა, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მაგრამ, არც მეტი, არც ნაკლები, კაცობრიობის ხსნის ქართველი ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის მთავარი ბრძოლა წინ გველის.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი დროის უდიდესი ქველმოქმედის და მისაბაძი მამულიშვილის, თბილისის წმინდა სამების გრანდიოზული საკათედრო ტაძრის აღმშენებლის, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწყებულ, ქართველი ერისთვის დიდად სასიკეთო საქმეში მაღალი ღმერთი მასაც და მის მხარდამჭერებსაც ხელს მოუმართავს.

ვინც ამ დიდ მამულიშვილურ გამოწვევაში, რა თქმა უნდა, ნებაყოფლობით ჩაებმება, ყველას გვარ-სახელი და პროფესია, არ იქნებოდა ზედმეტი, რომ გამოქვეყნდეს (დაფიქსირდეს), როგორც ეს ჩვენი სიამაყის _ წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ჟამს იწერებოდა პრესის ფურცლებზე, რამეთუ მომავალმა თაობებმა და ისტორიამ უნდა იცოდნენ, ამ ისტორიული ავბედითობის ჟამს ვინ სად იდგა...

დიახ, ასეა, არაფერს ვამეტებთ. რამეთუ გაეროს მონაცემებით, სულ რაღაც 25 წელიწადში, ანუ ჩვენი ტკბილ-მწარე დამოუკიდებლობის აქამდე გამოვლილი გზის ტოლ მონაკვეთში, ეთნიკური უმცირესობა შეიძლება გავხდეთ საკუთარ ქვეყანაში და, ამიტომ მომაკვდავ ერთა სიისკენ მიგვითითეს!

დაბოლოს, იმას ვიტყვით, რომ მართალზე მართალი იყო კიდევ ერთი ქართველი მწერალი, მართლაცდა უებრო ინტელიგენტი და მამულიშვილი გრიგოლ აბაშიძე, როცა ამბობდა: "სულ ყველაფერი წყალს წაუღია, თუ საქართველო აღარ იქნება!"

***საინიციატივო ჯგუფის სახელით***
***ისიდორე ჯანელიძე***

# ნინოობას გილოცავთ!

"_ ქალწული ჯვარს ვაზის ნასხლავისაგან გამოსჭრის.

სხვების ჯვარი: ან ქვისა ან რკინის, ან უბრალო ხის ყოველთვის მშრალია და წუთხე: აქ კი: ჯვარი _ ვაზის. ვაზი ხომ სახეა: მიწის _ ნიადაგის _ სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამებისა და დასჯის ნიშანია.

ჩვენში ჯვარი ლხინია თვითონ...

ქალწული ვაზის ნასხლავს თავის თმებით შეკრავს.

თითქოს ჭრილობა შეუხვია ნასხლავს, რომელიც იცრემლება.

ჯვარი _ ქალის თმებით შეკრული. მიჩვენეთ სხვა სახე _ უფრო მწველი და უფრო ლამაზი!

ჯვარი _ ვაზის ნასხლავისაგან გამოჭრილი.

ჯვარი _ ქალის თმებით. ქალის თმები ხომ სახეა:

ქალობის _ ქალწულობის _ დედობის". _ წერდა **გრიგოლ რობაქიძე.**



უდიდესი კრძალვით და პატივით აღნიშნავენ საქართველოში ნინოობას _ წმინდა ნინოს ხსენების დღეს.

კაპადოკიელი ასული, ხელში ვაზის ჯვრით შემობრძანდა საქართველოში და ბინა ფარავნის ტბის მიდამოებში, მაყვლის ბუჩქნარში დაიდო. ერთადერთ ჭეშმარიტ სარწმუნოებას _ ქრისტიანობას ქადაგებდა წმინდანი და უფლის ძალითა და მადლით უამრავ სასწაულს ახდენდა: სნეულთ, დავრდომილთ აღადგენდა, უშვილოებს მშობლობის მადლს აზიარებდა. წმინდა ნინოს ქადაგებები, მისი მოღვაწეობა დაედო საფუძვლად ქართველების გაქრისტიანებას, შემდეგ კი სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებას.

...და გაჩნდა საქართველოს ცაკაბადონზე ჯვარი ვაზისა... ქართველთათვის გამეტებული ღვთისმშობლის მადლი.

ნინოობას წელიწადში ორჯერ აღნიშნავენ ქართველები. 1 ივნისი საქართველოში წმინდანის შემოსვლის დღეა. 27 იანვარი კი წმინდანის აღსრულებისა (338 წელი).

წმინდანისადმი განსაკუთრებით სნეულნი და უშვილოები ლოცულობენ.

ანგელოზის წირვა დგება,
როცა დაჰკრავს ნინო ზარსა
მცხეთის ქალაქს მირონი დუღს,
ყველგან გააქვს ნიავ ქარსა.
გარს გუმბათსა სვეტს ეხვევა,
როგორც ნორჩი ვაზი სარსა,
იმის მადლი შეგეწევათ,
რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა.

*ხალხური*

მეოხ გვეყავ წმინდანო!

*ლევან გაბეჩავა*

# წლეულს მეტი საჩუქარი გაიცა

**ნათია ნაცვლიშვილი**

უკვე ტრადიციადქცეულ გამგებლის "ნაძვის ხის ზეიმს" წლეულს გაცილებით მეტი პატარა სტუმრო-



ბდა, ვიდრე გასულ წელს. ამ ღონისძიებას მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური უწევს ორგანიზებას. მრავალშვილიანი ოჯახების მცირეწლოვანი ბავშვები, დღის ცენტრ "ლამპარის" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარები და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების შვილები გამგებელმა საახალწლო ღონისძიებაზე დაპატიჟა. მათთვის ამაღლებული განწყობის შესაქმნელად ქუთაისიდან მოწვეულმა გასართობი ცენტრის "კუბიკ-რუბიკი" მსახიობებმა იზრუნეს. ბავშვურ ჟრიამულს და ხალისს ხელისუფლების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ და კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ "კუბიკ-რუბიკის" მსახიობთა თხოვნა გაიზიარეს და მისტერ მიკისა და მინი მაუსის ფორმაში გამოწყობილ მსახიობებთან ერთად ტვისტი იცეკვეს. ჟურნალისტ ირაკლი აკობიას და თქვენს მონა-მორჩილს ერთმანეთთან გაჯიბრება სკეიტბორდზე შემდგარებს მოგვიწია. ეწრის თემში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი რევაზ ივანიაძე და კულტურის სამსახურის სპეციალისტი ნათია გოგოძე ერთმანეთს ამავე დავალების შესრულებაში გაეჯიბრნენ. ბავშვები ანიმაციურმა გმირებმა ჰელოუ კიტიმ, დონალდმა, ბასტი-ბუბუმ და სხვებმა აამღერეს და ააცეკვეს. ბოლოს თოვლის ბაბუამ ტკბილეული დაურიგა პატარებს. მათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძეც მიესალმა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილისადმი სამადლობელი სიტყვები გამოთქვა ნანა თოფურიამ, იმის გამო, რომ მის შვილს, "ლამპარის" ბინადარს იზოლდა გრიგოლიას ქალბატონი ლიზა ეტლის შეძენაში დაეხმარა და მზრუნველობას არც ახლა აკლებს "ლამპარის" პატარა ბინადრებს.

ნატალია მანჯგალაძე: "გასულ წელსაც მოვაწყვეთ მსგავსი ღონისძიება მრავალშვიალიანი ოჯახების მცირეწლოვანი ბავშვებისათვის დღის ცენტრ "ლამპარის" შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის, სოციალურად შეჭირვებული ოჯახების შვილებისათვის. ახლაც ვთხოვეთ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს, მოეძებნათ სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები და მოეწვიათ. 100 ბავშვი სტუმრობს დღევანდელ ღონისძიებას. შარშან 30 ბავშვი იყო, საჩუქარიც წლეულს მეტია".



მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიას მივმართეთ კითხვით: "შარშან 30 ბავშვი დაასაჩუქრეთ მსგავს ღონისძიებაზე, წელს მათ რიცხვი 100-მდე გაიზარდა. ეს სიღარიბის ზრდასა და სოციალური ფონის გაუარესებაზე მიუთითებს თუ თქვენს გულუხვობას ადასტურებს?

– ყოველწლიურად გაიზრდება ამ ბავშვების რიცხვი. შარშან ეს პირველი ღონისძიება იყო და ამიტომ მოკრძალებული სოციალური ფონი ჯერ კიდევ არ არის სამწუხაროდ ქვეყანაში ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა, მაგრამ ისიც გაუმჯობესდება, უკეთესი იქნება, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყველა ღონისძიებაში აქტიურად ვერთვები და შესაბამისად, ამ ღონისძიებაშიც".



– **საჩუქრებისათვის რამდენი თანხა დაიხარჯა?**

800 ლარი.



კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

– მივესალმები ასეთ ღონისძიებას, ყოველთვის დასაფასებელნი არიან და ყურადღების მისაქცევნი სოციალურად დაუცველები და მრავალშვიალიანი ოჯახები. საჭიროა მათი წახალისებაც, მომავალი თაობა რომ გაიზარდოს სულიერად და ლაღად, ისინი მოკლებულნი არიან ასეთ ღონისძიებებს.

– **სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ასეთი ოჯახებიდან გამოსულები უფრო აღწევენ წარმატებებს...**

– დიახ, გასაჭირში გაზრდილი ადამიანი უფრო ბრძოლისუნარიანია და ხშირ შემთხვევაში უფრო აღწევს წარმატებებს, ვიდრე ისეთები გაზულუქებული ბავშვობა რომ ჰქონდათ".

# "კუკარაჩა" კვლავ მარიგებდა და ჭკუას მასწავლიდა"

**ნათია ნაცვლიშვილი**

ამოცანა არც ისე მარტივია: № 2 საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელებმა ნოდარ დუმბაძის უკვდავი და გაუხუნარი "კუკარაჩა" სასკოლო სცენაზე უნდა დადგან. უნდა გაცოცხლდეს მეორე მსოფლიო ომის წინა დღეებში მომხდარი ამბები... უკვე სტერეოტიპებად ქცეულ კინო თუ სპექტაკლის გმირთა სახეებს, მთელმა საქართველომ რომ შეიყვარა, თავიანთი წილი ოსტატობაც უნდა შეჰმატონ ამ პატარებმა, სპექტაკლი მოსაწყენი რომ არ იყოს. პრემიერისათვის 1 თვე ემზადებოდნენ ხელოვნების პედაგოგი მარინა ფხაკაძე და მისი მოსწავლეები. ღელავდა სკოლის დირექტორი თეა კარტოზიაც, თუმცა სჯეროდა, რომ პედაგოგი იდეას ფრთებს ჩინებულად შეასხამდა, მოსწავლეების იმედიც ჰქონდა და არც მეშვიდეკლასელებმა გაუმტყუნეს იმედები...



საბჭოთა პერიოდის მილიციის უბნის რწმუნებული გოგი თუშურაშვილი ის დადებითი პერსონაჟია, მრავალრეჟიმგამოვლილ თანამედროვე პოლიციის პირობებშიც რომ არ გაცვდა და გაუფერულდა. საბა ართმელაძეც ეცადა და, სიკეთის მთესველი კანონმორჩილი, მაგრამ ინგას სიყვარულის გამო მურტალოს დამნდობი და ამიტომაც "დასჯილი" კუკარაჩას როლი მართლაც კარგად ითამაშა. პოლიციის უფროსის, დავით საბაშვილის სახე შალვა კოხრეიძემ შექმნა. შთამბეჭდავი და საინტერესო იყო არისტოკრატი ქალბატონის, ანიკო ბახტაძის როლში თეონა ჩაჩუა. ასაკის მიუხედავად, ამ პატარა გოგომ საოცრად კარგად გაითავისა როლი და შეძლო მზრუნველი და ხატოვანი სიტყვებით მოსაუბრე დედის სახის გაცოცხლება. "თუ რამ საგანძური და ჯილდო მიუცია ღმერთს ადამიანისათვის, სიყვარულის ნიჭია. ცოდვაა ის კაცი, ვინც ამ დიდი ნიჭის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან". – მწერლის ეს სიტყვები კარგად რომ გაიაზრა, სულის ქურაშიც რომ გამოატარა, ამიტომაც იყო მარიამ ნასარეიასეული ინგა საინტერესო. ანრი ძაგნიძეს თავდაპირველად გაუპროტესტებია მკვლელი მურტალოს როლის თამაში, მაგრამ, ამ ტენდენციას დიდი მსახიობებიც კი არ უვლიან გვერდს და... მისი მურტალოც არ ჩამორჩებოდა ნამდვილს. თბილისელი ჭორიკნები ნინო ზამბახიძე, ნონა ორმოცაძე და მანანა მუქერია იყვნენ, მკითხავი – ნათია თარგამაძე. თემურ გერაძემ და ლუკა სანიკიძემ წამყვანების მისია იტვირთეს და მაყურებელზე ზეგავლენის მოხდენაც შეძლეს. არც მურტალოს მიერ ინგასთვის გაგზავნილი ვარდების წამლები ქურთისათვის (შოთა ნადირაძე) ღირს გვერდის ავლა. პატარებმა ასაკის მიუხედავად მაინც შეძლეს თავიანთი პერსონაჟების სახეები ისე გამოეძერწათ, არა მარტო სპექტაკლის ფინალურ სცენაში, როცა მეხივით იქუხებს – კუკარაჩა მოკლეს! – არამედ არაერთგზის მოსდგომოდა მაყურებელს თვალზე ცრემლი. პედაგოგებმა, სპექტაკლის შემდეგ თხოვნით მიმართეს ქალბატონ მარინას, სპექტაკლი კიდევ განმეორდეს და მაყურებელმა





კაცთმოყვარეობის, ჰუმანურობის, სიკეთის გრძნობის გამღვივებელი ეს სპექტაკლი კიდევ იხილოს თუნდაც გაზრდილი ქრონომეტრაჟით.

– ჯაშუში ხარ შენ, კუკარაჩა, შპიონი, ნამდვილი მაბეზღარა და მეზიზღები, ჭირივით მეზიზღები! – ნაწარმოების გმირი პატარა ბიჭუნას ამ სიძულვილიდან კუკარაჩას დიდ სიყვარულამდე საოცრად პატარა მანძილია. ეს მანძილი სპექტაკლის განმავლობაში მაყურებელმაც დრამატიზმითა და ინტერესით გაიარა და გონებაში უკვე მერამდენედ გახმიანდა დუმბაძისეული სიტყვები: "გასაოცარი ის გახლდათ, ამ სიზმარში კუკარაჩა კვლავ 21-ის თუ 22 წლისა იყო, მე ორმოცდაათს გადაცილებული, ის კი კვლავ მარიგებდა და ჭკუას მასწავლიდა"...

# თავისუფლების პოეზია

ქეთევან ჭელიძე

***ჟორჟ ბრასენსი, ლეო ფერე, ჟაკ ბრელი, სერჟ გენსბური და ბორის ვიანი _ მათ კარგად იცნობს საფრანგეთი. იცნობენ იმ ქვეყნებში, სადაც უყვართ ფრანგული მუსიკა. უსმენენ საქართველოშიც, მაგრამ აქამდე არაფრანკოფონებს საშუალება არ ჰქონდათ, მთელი სიმძაფრით შეეგრძნოთ სასიმღერო ტექსტი. "ფრანგული შანსონი" ამ ნაკლოვანებას ავსებს.***

***წიგნი ფრანგული ინსტიტუტის ხელშეწყობით გამომცემლობა "ინტელექტმა" დაბეჭდა. მასში ბაჩანა ჩაბრაძის მიერ თარგმნილი ფრანგული შანსონის ტექსტებია შესული, ხუთი ავტორ-შემსრულებლის შვიდ-შვიდი პოეტური ნიმუში.***

"წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი თარგმანები ფრანგული შანსონისადმი ჩემი ხანგრძლივი სიყვარულის ნაყოფია. _ წერს წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი. _ მინდოდა, ეს გრძნობა ქართველი მკითხველისთვისაც გამეზიარებინა...

რატომ მიყვარს ისინი?

_ იმიტომ, რომ მათი შემოქმედება ადამიანთა შორის სიყვარულისთვის გახსნილი კარია...

_ იმიტომ, რომ გული სიხარულით მევსება, როცა უეცრად რომელიმეს მოვკრავ ყურს. ესაა თავისუფლების პოეზია, დროისა და მანძილის წამშლელი".

ბაჩანა ჩაბრაძის ბავშვობიდანვე ფრანგული პოეზიით გატაცებას ხელი დედამ, ფრანგული ენის სპეციალისტმა გულიკო გოგიტიძემაც შეუწყო. ალბათ, ამის გამოც იყო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის პარალელურად ბაჩუკი ჩაბრაძე ფრანგულს დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტშიც ეუფლებოდა. ფილოსოფიის ფრანგულ ენაზე შესწავლის მიზნით მან საფრანგეთში, ნანტის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა. შემდეგ კი ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გადავიდა. ამჯერად, ბატონი ბაჩანა პარიზის "დეკარტის უნივერსიტეტის" ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ბიბლიოთეკაში მუშაობს. მიღებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიები.

"ფრანგული შანსონი" მთარგმნელობით ჟანრში ბაჩანა ჩაბრაძის პირველი მცდელობა არ არის. ჩვენი მკითხველი იცნობს ფრანგული კლასიკოსების მისეულ პოეტურ თარგმანებს.

ავტორის განმარტებით: "შანსონი" ფრანგულად "სიმღერას" ნიშნავს. თუმცა, ფრანგი შანსონიების სკოლა თავისი შინაარსითა და საშემსრულებლო ხელოვნების თავისებურებით განსაკუთრებული მოვლენაა და მხოლოდ "სიმღერის" სტატუსით არ შემოიფარგლება."

"შანსონის", რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ტრუბადურებიდან მომდინარეობს, ტექსტი და მუსიკაც თავად შემსრულებელს ეკუთვნის. მე-20 საუკუნეში ტექსტი თავისი მხატვრულობის მაღალ საფეხურს აღწევს, რამაც საშუალება მისცა მთარგმნელს, ტექსტი მუსიკისაგან გამოეცალკავებინა და ისე შეეთავაზებინა ლიტერატურით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

ბაჩანა ჩაბრაძე განსაკუთრებული სიყვარულით აღწერს პარიზში, მდინარე სენის მარცხენა სანაპიროზე, ლათინურ უბანსა და სენ-ჟერმენ-დე-პრეზე მიმდინარე ბობოქარ ცხოვრებას, სადაც "ავტორ-კომპოზიტორ-შემსრულებლების ხელოვნება პიკს აღწევს... კაფეებსა და კლუბებში წერენ, უკრავენ და მღერიან გამომწვევ და "მიუღებელ" სიმღერებს. ვიანის თქმით, ეს იყო "ორგანიზებული სიგიჟის ცენტრი". ეს იყო თავისუფლების ძახილი, ძალაუფლების მქონეებთან დაპირისპირებული სიტყვა. მღეროდნენ იმას, რის ხმამაღლა თქმა "არ შეიძლებოდა". სიმღერა იქცა იმათ იარაღად, იმათ ხელოვნებად, ვისაც სიტყვის უფლება არ ჰქონდათ. სათქმელი კი _ რამდენიც გინდა". _ წერს ბატონი ბაჩანა.

"მეტრულ-რიტმული სტრუქტურის დაცვით" ნათარგმნი შანსონები ერთი ამოსუნთქვით იკითხება. შემდეგი მიზანი კომპოზიციების ქართულად ამღერებაა. კრებულში მოთავსებული სასიმღერო ტექსტები მთარგმნელის აკადემიურობაზე მიუთითებს. "ბაჩანა ჩაბრაძე ახერხებს ერთ ლექსში ოსტატურად ცვალოს სტრიქონის ზომა, ცვალოს ინტონაცია, ისე სხარტად გამოხატოს სათქმელი, რომ კონკრეტული სათქმელი გონებაში გიჯდება." _ მაღალ შეფასებას აძლევს მას კრიტიკოსი შოთა იათაშვილი.

იმის დასადასტურებლად, რომ თარგმანი სათანადო დონეზე იყო შესრულებული, ავტორთა მემკვიდრეებმა სპეციალურად შეამოწმებინეს კიდეც.

"აბსოლუტურად შენარჩუნებულია ის რიტმი, მელოდია და სტრუქტურა ლექსის, რომელიც არის ორიგინალში". _ ადასტურებს კრიტიკოსი ლელა კოდალაშვილიც.

"ფრანგული შანსონით" აღფრთოვანებული ფრანსუას კანეტი, "გამომცემლობა "ჟაკ კანეტის" ხელმძღვანელი წერს: "ძალიან დავინტერესდი თქვენი პროექტით "ფრანგული შანსონი". ყველა ის ხელოვანი, რომლებიც თქვენ თარგმნეთ, მამაჩემმა, ჟაკ კანეტიმ "გამოზარდა", სცენაზე აიყვანა და ჩაწერა. მივესალმები ამ შესანიშნავი სიმღერების ქართულად თარგმნას."

"ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ბრელის ქართულად თარგმნის წამოწყება. დიდი სიამოვნებით გადმოგცემთ უფლებებს ამ თარგმანებზე, ჩვენ ისინი განსაკუთრებით კომპეტენტურ პიროვნებას შევამოწმებინეთ, რომელმაც მათთვის ქება არ დაიშურა!" _ ამბობს ფრანს ბრელი, ჟაკ ბრელის შვილი და "გამომცემლობა ჟაკ ბრელის ხელმძღვანელი".

სერჟ კაზანი, ჟორჟ ბრასენსის დისშვილი და მემკვიდრე კმაყოფილებას არ ფარავს: "ძალიან მახარებს თქვენი პროექტი, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებს ძია ჟორჟის მემკვიდრეობას!"

ნიკოლ ბერტო, "მემკვიდრეობა ბორის ვიანის" ხელმძღვანელი: "აღფრთოვნებული ვართ ბორის ვიანის სიმღერების ქართული თარგმანების ხილვით და დიდი ენთუზიაზმით გაძლევთ მათზე უფლებებს. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ფაქტი, რომ ვიანის სიმღერები დღესაც 2015-ში, გზას იკვლევენ მთელ მსოფლიოში!"

პარიზში, ვერნეის ქუჩაზე მდებარე სერჟ გენსბურის სახლის კედელზე, სადაც მისი ხელოვნების მოყვარულები ყოველდღიურად ტოვებენ წარწერას თუ ნახატს, ბატონმა ბაჩუკიმ "ცდუნებას" ვერ გაუძლო და გენსბურის პოეზიის მისეული თარგმანებიდან ნაწყვეტები დატოვა. "ამგვარად, _ ამბობს ის, _ კედელზე, სხვადასხვა ენოვან გზავნილთა გვერდით, ქართული წარწერებიც გაჩნდა".



"ქართულმა შანსონმა" საქართველოში სწრაფად გაიკვლია გზა. თბილისში, ღვინის კაფე-ბარში "ხარება" გამომცემლობა "ინტელექტისა" და "მეღვინეობა ხარებას" ორგანიზებით გაიმართა შანსონების თარგმანების კრებულის წარდგენა. გადაცემა "პიკის საათმა" პირდაპირი ეთერი დაუთმო ბაჩანა ჩაბრაძეს. "ფრანგული შანსონის" გამოცემა ყურადღების გარეშე არც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოპარვიათ და განხილვის საგნად აქციეს იგი.

რამდენიმე დღეში, ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა მკითხველებთან მორიგ შეხვედრა-დებატებს გამართავს. მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი ლელა კოდალაშვილი ბაჩანა ჩაბრაძის თარგმანების კრებულს "ფრანგული შანსონი" წარადგენს. ასევე, საფრანგეთში საქართველოს საელჩოსთან თანამშრომლობით პარიზშიც იგეგმება კრებულის პრეზენტაცია, სადაც ავტორთა მემკვიდრეებიც იქნებიან მიწვეულნი.

ბრასენსი, ფერე, ბრელი, გენსბური, ვიანი _ ფრანგული შანსონის გრანდების შემოქმედება გულგრილს არ ტოვებს მკითხველს. საამაყოა, რომ მათი მთარგმნელი ბაჩუკი ჩაბრაძე ჩვენი თანამემამულეა. 19 იანვარს ის იუბილარი გახლდათ. ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენთვის საყვარელ ადამიანს და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ვუსურვებთ!




### მოკვდე იდეისთვის

მოკვდე იდეისთვის _ იდეაა კარგი.
მე კი უიდეოდ ყოფნამ მომინელა.
თუკი ვინმეს ეპყრა იდეების თარგი,
საომარი ჟინით თავს დამატყდა ყველა.
დამარწმუნეს, და მეც ვაღიარე მოკლედ
ცდომილება ჩემი და მივენდე მასას,
თუმც პირობა ერთი წავუყენე მასაც:
მოვკვდეთ იდეისთვის, ოღონდ ნელა მოვკვდეთ.

ნუ ვიჩქარებთ გზაზე. ამ გზაშია გემო
ამქვეყნიურ ყოფის სიამეთა განცდის.
სიცოცხლეს ხომ ხშირად, აჩქარების გამო,
იმ იდეას ვწირავთ, ხვალ რომ ყავლი გასდის.
და ვიხილავთ როცა საიქიოს კბოდეთ,
რა იქნება, განა, იმ გრძნობაზე მწარე,
რომ იდეა ჩვენი აღმოჩნდება მცდარი?!
მოვკვდეთ იდეისთვის, ოღონდ ნელა მოვკვდეთ.

წმინდა ოქროპირნი მოუხმობენ მარტვილთ
და იმქვეყნად თავად არ ჩქარობენ წასვლას.
მოკვდნენ იდეისთვის _ მიზეზია მათთვის
ამქვეყნიურ ტკბობის, არ იცლებენ რასაც.
შეიძლება, თვალში ისეთებიც მოგხვდეთ,
ტოლს რომ არ უდებენ წლებში მათუსალას
და უმხელენ ერთურთს საიდუმლოდ ამას:
"მოვკვდეთ იდეისთვის, ოღონდ ნელა მოვკვდეთ!"

იდეათა გროვა თავგანწირვას ითხოვს
და სექტებიც რაზმებს ამზადებენ მისთვის.
ახალბედა მსხვერპლი სვამს ერთადერთ კითხვას:
"მზად ვარ მოვკვდე, ოღონდ _ რომელ იდეისთვის?"
და რადგანაც ერთურთს გვანან სიბობოქრით,
ერთნაირი გზნებით აღელვებენ ალამს,
ბრძენი ეჭვით უცქერს ყოველივე ამას.
მოვკვდეთ იდეისთვის, ოღონდ ნელა მოვკვდეთ.

სიკვდილს რომ მოჰქონდეს სამუდამო ზავი,
რაც აქ ძალადობას და ომს გუნდრუკს ვუკმევთ,
რაც აქ სისხლი ღვრილა და მოჭრილა თავი,
ამქვეყნიურ ედემს ავაგებდით უკვე.
მაგრამ ოქროს ხანა მას არასდროს მოსდევს,
კვლავ სწყურიათ ღმერთებს, სისხლს ითხოვენ ახალს
და ერთ სიკვდილს ბევრი სხვა სიკვდილი ახლავს...
მოვკვდეთ იდეისთვის, ოღონდ ნელა მოვკვდეთ.

მოციქულნო, იქნებ თქვენი ჯერიც დადგა!
წადით, მოკვდით თავად, დაგვითმია რიგი.
სხვებს აცალეთ ოღონდ აქ სიცოცხლე, რადგან
მათი ერთადერთი ქონებაა იგი!
სიკვდილი ხომ თავის ცელს ისედაც მოგვდებს,
ჩვენგან წაქეზება არ სჭირდება სულაც
ფარდა _ სასაკლაოს ამ სევდიან სურათს!
მოვკვდეთ იდეისთვის, ოღონდ ნელა მოვკვდეთ.

### დროსთან ერთად

დროსთან ერთად
დროსთან ერთად, ყველაფერი მიდის.
ვივიწყებთ მის სახეს და ხმასაც ვივიწყებთ...
გული რომ აღარ ცემს, შენს ახირებაზე
ვერ დაძრავ. ჯობია, მიუშვა ნებაზე.
დროსთან ერთად
დროსთან ერთად, ყველაფერი მიდის.
ის, ვის სიყვარულსაც ვეძებდით წვიმაში,
ვისი გამოხედვაც იყო საკმარისი,
რომ გვეცნო თვალებზე და ფერუმარილზე,
ბურანს მისცემია მიმწუხრის წინაშე.
დროსთან ერთად, ვინთქმებით წყვდიადში.
დროსთან ერთად
დროსთან ერთად, ყველაფერი მიდის.
თვით მოგონებაც კი ყველაზე ძვირფასი,
თვლემს გალერეაში, სიკვდილის თაროზე,
სადაც დაისივით ნელდება სინაზე.
დროსთან ერთად
დროსთან ერთად, ყველაფერი მიდის.
ის, ვისაც მივენდეთ სიცხისგან დაღლილნი,
ის, ვისაც ვჩუქნიდით ქარსა და სამკაულს,
ვისთვისაც გავყიდეთ სული და სამყარო
და ვისაც დავდევდით ერთგული ძაღლივით,
დროსთან ერთად, ეს არის ჩავლილი.
დროსთან ერთად
დროსთან ერთად, ყველაფერი მიდის.
ვივიწყებთ ვნებებს და ხსოვნათა საცრიდან
ის ხმაც კი გვიქრება, რომ ჩაგვჩურჩულებდა:
"შინ დროზე დაბრუნდი, ქარში არ გაცივდე!"
დროსთან ერთად
დროსთან ერთად, ყველაფერი მიდის.
ჯაგლაგს ვემსგავსებით, დოღმა რომ დაღალა
და ვწევართ შემთხვევით გადაშლილ საწოლში
და მარტოობისგან მოგველის გათოშვა
და ფლიდი წარსულის ზარსა გვცემს ნაღარა.
ეჰ, მართლაცდა,
დროსთან ერთად,
აღარ გვიყვარს,
აღარ....

### თუ მხოლოდ სიყვარულს

თუ მხოლოდ სიყვარულს
ვაჩუქებთ ერთმანეთს,
რომ გული ფეთქავდეს
და დარმა იდაროს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
ვიწამებთ მე და შენ,
რომ ტრფობის ზედაშე
გვაფრქვევდეს სიხარულს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
მივანდობთ იმედებს,
რომ აღარ მივეცეთ
ეჭვსა და სინანულს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
გავფანტავთ უსაზღვროდ,
რომ ყოფას უსახურს
მზედ გადმოეღვაროს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
მივიტანთ ღმერთამდე,
რომ ყველამ ერთადერთ
სიმართლედ იგმაროს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
და სითბოს ვარიგებთ,
რომ ღატაკ-ღარიბებს
სამოსად მივგვაროთ,
თუ მხოლოდ სიყვარულს
ვავედრებთ საწუთროს,
რომ რისხვამ დაუთმოს
ადგილი სიბრალულს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
გავიღებთ უკლებლივ,
რომ თავისუფლების
მზე ამოიყვანოს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
ვიახლებთ მეგზურად,
რომ ყველამ ერთგულად
მის კვალზე იაროს,
თუ მხოლოდ სიყვარულს
ვაჩვენებთ მარწუხებს
და ქვემეხს პასუხად
მივუგებთ ჟრიამულს,
მაშინ, ვით ოცნება,
ვითარცა ზღაპარი,
ჩვენ ხელთ აღმოჩნდება
სრულიად სამყარო!

### ბილეთების გამხვრეტი

მე ვარ ბილეთების გამხვრეტი,
წინ რომ ჩაუვლი და არც გახედავ...
გვირაბში, სადაც მზე ვერ აღწევს,
მგზავრი მგზავრს ასწრებს.

# ვის ჩაეხუტეთ?



ჩახუტების დღე პირველად ამერიკაში აღინიშნა არცთუ დიდი ხნის წინ. წელს კი იგი საერთაშორისოდ გამოცხადდა.

ვაღიარებ, წინა ნომერში გამოგვრჩა გვეუწყებია მკითხველთათვის სათანადოდ მომზადებულიყვნენ ამ დღისათვის და მოეძებნათ ჩახუტების ობიექტ(ებ)ი.

რაკი უკვე 21 იანვარი ჩავლილია, დაგვიანებით გილოცავთ ამ საერთაშორისო დღეს და უბრალოდ შეგეკითხებით: ვის ჩაეხუტეთ?

ლევან გაბეჩავა

# მომავალ ჩახუტებამდე!

თეა ბაბუნაშვილი

საერთაშორისოაო, და ჩახუტების დღედ 21 დეკემბერი საქართველომ ისე მიიღო, როგორც სხვა, ბევრი ევროპული. ჩემს კოლეგას, ლევან გაბეჩავას კითხვა უკვე დასმული ჰქონდა საგაზეთოდ მომზადებულ სახუმარო რეპლიკაში, მაგრამ რადგან დილიდან ახმიანდა ტელევიზია თუ რადიო, "ევროპულად განათლებულიც" ბევრი აღმოჩნდა, ვინც ამ დღის შესახებ ისედაც იცოდა, ქუჩას, კაბინეტს, შენობას მივაშურეთ, შიგ შეყუჟული ადამიანების ჩასახუტებლად.

ეს ყველაფერი ხუმრობით, ნახევრად ხუმრობით კი, ამგვარი დღის დაწესება ქართველებს, ალბათ, არც მოგვაფიქრდებოდა, რადგან საქართველოში ჩასახუტებლად მხოლოდ ორი უკიდურესობა არსებობს _ სუფრა და საწოლი. ამათ გარდა, თურმე ოდითგან, ჩვენ თანამედროვე უფრო ვიცით, თორემ ერთმანეთს ჩახუტებული ქართველი, ყოველ შემთხვევაში, საქმესა და პოლიტიკაში ნაკლებად რომ ვინმეს ენახოს.

ერთი სიტყვით, სტატისტიკა სამტრედიაში ასეთია, დიდი სიამოვნებით ძირითადად შვილებს ეხუტებიან. ასე მაგალითად, გამგეობის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომელი, ზაზა დოლიძე ერთადერთ ქალიშვილს ჩაეხუტებოდა, იქ რომ ჰყოლოდა. არა, კი დასძინა, კარგ ქალსაც ჩავეხუტებოდიო, მაგრამ ეს უკვე აღარ ჩაითვალა! ამ საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი სოფო კირთაძე, ბაკურიანიდან ტელეფონის მეშვეობით "ჩაგვეხუტა" კოლეგებს. კიდევ დიდი სიამოვნებით ჩასახუტებლად სიაში პირველ ადგილზე ქმარ-შვილი დაასახელა. დედასო, გვითხრა საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტმა, ნათია იობაძემ. რა თქმა უნდა, ქმარი "აპატიებდა", რადგან ნათია რამდენიმე თვეში თავად გახდება დედა, და არც ერთ შემთხვევაში გასაკვირი აქ არაფერია!

"არც ვიცოდი, ასეთი დღე თუ არსებობდა, ახლა დიდი სიამოვნებით ჩემს დისშვილს, ერეკლე ხუჭუას ჩავეხუტებოდი." _ მუნიციპალიტეტის გამგებელმა ეს პირობა სულ რამდენიმე წუთში შეასრულა.

მისმა თანაშემწეებმა, ანზორ ბუაძემ და ლაშა ორმოცაძემ მრავალმნიშვნელოვანი "ოოოოოო"-თი გვიპასუხეს. დასახელებას, რა თქმა უნდა მოერიდნენ, ერთი სიტყვით, ჩავთვალოთ, რომ...

ჩაუხუტებელი არც ამ წერილის



ავტორი დარჩენილა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მიხეილ ლეჟავამ არა მხოლოდ ძველი მეგობრობის ხათრით, ღორის გრიპი მაქვს მგონი და იქნებ გადმოგადოო, ამიტომაც "გასწირა" თავი. ამავე სამსახურის თანამშრომლები ნანა ფოცხვერია, ნათია კვანტალიანი, ლიკა დარჯანია და თინათინ ნიკურაძე ერთმანეთს გადაეხვივნენ. ამ დღის შესახებ ისინიც უკვე ინფორმირებულები გახლდნენ.

ყველაზე გულწრფელი და "დაუდგმელი" სცენა ნინო რუხაძის და ლელა ჯიბაშვილის გადახვევა იყო, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში. რომ გაიგეს, სწრაფი მოძრაობით 21 იანვრის დანიშნულება "აღასრულეს."

და საოცრება, ყოველ შემთხვევაში საქართველოში! მოქალაქე პოლიციელს ჩაეხუტა! ასე იცის 21 იანვარის ჩახუტებამ! არა, არც ასეა საქმე მაგრამ, გამგეობის დაცვის თანამშრომელს, გიზო ფოცხვერიას კი მოუწია გამგებლის მძღოლთან, ვაჟა გეგეშიძესთან ჩახუტება. ასე ექსპრომტად კაცს თუ ჩავეხუტები, თუ არა, ქალს რომ ჩავეხუტო, მომკლავს მისი ქმარიო, გიზო ფოცხვერიამ. ამიტომ "თავი დაიზღვია."





მერე ქუჩა, სადაც ერთმანეთს მხოლოდ ზაზა ადეიშვილი და ვალერი თევზაძე გადაეხვივნენ. რადგან მანამდე, ბატონი ზაზა ამ დღის მნიშვნელობით გახარებული, მაღაზიაში სოფო ფაღავას გადაეხვია ექსპრომტად, რასაც სოფოს რეპლიკა, "შარში ვართ, ბატონო ზაზა", მოჰყვა, ქუჩის კადრი გაზეთში დაბეჭდვას აღარ დაექვემდებარა. თავად სოფომ რამდენიმე წუთით ადრე, ჩემს ვაჟებს ჩავეხუტებოდი ყველაზე დიდი სიამოვნებით, რასაც მას შემდეგ არ აკეთებენ, რაც გაიზარდნენო, გვითხრა. ამ საკითხში ბიჭების დედებმა ერთმანეთს ჩვენი გულისტკივილი გავუზიარეთ.





აფთიაქში? აფთიაქში ქალბატონი მარინა გედენიძე დაგვხვდა, რომელმაც არც აცია, არც აცხელა, თავისი კმაყოფილება დააფიქსირა პსპ-ს მომსახურებით და მის ერთ-ერთ თანამშრომელს, ფიქრია ნიკურაძეს გადაეხვია, რომელიც თურმე ძალიან უყვარს.

ეს ამბავი დილით ადრე მოხდა, მაშინ, როცა შეყვარებულ ახალგაზრდა წყვილებს, სავარაუდოდ, ჯერ ისევ ეძინათ, თორემ...



ეს ისე, უბრალოდ, კარგი განწყობის შესაქმნელად! აბა, სულ ნეგატივზე ხომ არ დაწერს გაზეთი! ჰოდა, დაგვერწმუნეთ, ჩვენ მკითხველის განწყობის ამაღლებაზე მართლა ვფიქრობათ. სხვათა შორის, მკითხველში ხელისუფლებაც იგულისხმება. თუმცა, ხელისუფლების და გაზეთის ჩახუტების რა მოგახსენოთ, მხოლოდ 21 იანვარს _ შეიძლება!

ამ წერილში ბევრჯერ ნახმარი სიტყვები, ჩაეხუტა და გადაეხვია, გვჯერა, ტავტალოგია არავის ეგონება. ღმერთმა ინებოს, ეს მოქმედება რეალობად ხშირად იქცეს ქართულ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, სუფრისა და საწოლის გარდა!

ერთი სიტყვით, ესეც მსუბუქად საკითხავი, მომავალ ჩახუტებამდე!

---

დრო რომ მოვკლა, თან მაქვს ერთი
ძველი "რიდერზ დაიჯესტი" _
შიგ ყვებიან დიდის ამბით,
თუ როგორ ასწორებს მაიამი...
მე კი დავმდგარვარ ამ ხვრელში და
ვოხუნჯობ მშვიდად...
არ არსებობს ცუდი საქმე _
გამხვრეტად ვმუშაობ აქ მე!
ვხვრეტ და ვხვრეტ, ვხვრეტ და ვხვრეტ, ისევ ვხვრეტ და ვხვრეტ!
ეს _ მეორე კლასი,
ეს _ პირველი კლასი
ვხვრეტ და ვხვრეტ, ვხვრეტ და ვხვრეტ, კვლავაც ვხვრეტ და ვხვრეტ!
მე ვარ ბილეთების გამხვრეტი.
_ თქვენ "ოპერაზე" უნდა ჩახვიდეთ!..
ხვრელში ვცხოვრობ, სხვა სახლს არც ვეძებ.
და ტანსაცმელზე
ქაღალდების ფიფქი მადევს
და მიმყვება ლოგინამდე.
აქ ზეცად ქაშანურია,
ვარსკვლავებად _ საგანრიგო სია.
ზოგჯერ, ოცნება გამიტაცებს,
ბაქანს ზღვად აქცევს,
შორ ნისლებში ვიკარგები,
ვხედავ, ჩემკენ მოდის გემი,
რომ მიხსნას ხვრელიდან, სადაც ვხვრეტ და ვხვრეტ!
მაგრამ გემი ქრება
გონი მიბრუნდება
და ვრჩები ხვრელში და კვლავაც ვხვრეტ და ვხვრეტ!
მე ვარ ბილეთების გამხვრეტი.
_ თქვენ, ჯობს, "ლევალუადან" წახვიდეთ!..
მომბეზრდა და ამომივიდა!
გავიქცე მინდა,
გავიპარო, როგორც ქურდი
და შორს მოვისროლო ქუდი.
მოვა დრო და ფრთებს მეც გავშლი,
მეც გავინავარდებ ბუნებაში,
გამეფინება შარაგზები,
და წავალ გზნებით!
და თუ ჩემი ზარი ისმა,
გავუდგები სამარის გზას.
ვხვრეტ და ვხვრეტ, ვხვრეტ და ვხვრეტ, ისევ ვხვრეტ და ვხვრეტ!
დროა, გიჟმა მუშამ,
გავიკეთო შუბლში
ნახვრეტი, ნახვრეტი, ბოლო ნახვრეტი!
და ერთ ხვრელში ჩავეტევი
და მორჩება ნახვრეტები!
ნახვრეტები,
ნახვრეტები,
ნახვრეტები,
ნახვრეტები...

### დეზერტირი

ჩემო პრეზიდენტო,
წვრილად მოგწერთ ფიქრებს.
თუ დრო გექნათ, იქნებ
წაკითხვაც კი შეძლოთ.
დღეს გადმომცეს, მარშით,
მე უწყება ხელში _
რამდენიმე დღეში
მიბარებენ ჯარში.
ჩემო პრეზიდენტო,
მე ომში არ წავალ!
ხალხის მოსაკლავად
არ მოვსულვარ ქვეყნად!
ნუ გამიბრაზდებით,
მაგრამ უნდა გითხრათ
ჩემი ბოლო სიტყვა _
დეზერტირი ვხდები.
ჩემთვის, ომის წლები
გადაიქცა დრამად:
დამეღუპა მამა,
დამეკარგნენ ძმები.
საცოდავი დედაც
მოინელა დარდმა,
ბნელ სამარის გარდა
ვეღარაფერს ხედავს.
ტყვეს, დამატყდა სრული
უბედობის ცელი _
ამაწაპნეს ცოლი
გამიძარცვეს სული
ხვალ, რომ ირიჟრაჟებს,
რაღა დაგიმალოთ,
წარსულს სამუდამოდ
მივუხურავ კარებს.
გადავივლი მთა-ბარს,
ვიწანწალებ ობლად
ქალაქად თუ სოფლად
და ხალხს ვეტყვი ამას:
"კვერის დაკვრას მორჩით,
გონს მოეგეთ დროზე,
უარი თქვით ომზე,
არ წახვიდეთ ომში!"
თუ აანთეთ დენთი,
თუ სისხლს ითხოვს დავა,
მაშ, დაღვარეთ თავად,
ჩემო პრეზიდენტო!
მდევარს გადაეცით.
თუ ჩემამდე მოვა _
უიარაღოდ ვარ,
დე, გამიხსნას ცეცხლი.

# ცრემლით სავსე ვარცლი დაუდგა მწუხარებას

ვერ დაიტია გულმა და გონებამ ცხოვრების ამაოება.

ერთი სანთელი კიდევ ჩაქრა უკიდეგანო მზისქვეშეთში.

ისევ გადაუარა სამტრედიას თავისიანის გარდაცვალების ამბავმა. მოუკვდა კაცი, მხატვარი, პოეტი... ადამიანი მოუკვდა, ჩვეულებრივი კი არა, არაჩვეულებრივი ჯემალ ტაბიძე!

"რა უდროოდ და უადგილოდ უმუხთლა ბედმა,
კატასტროფაა, სწყდება ორბიტას..."

ხიბლი დაეკარგა ქუჩას, ქალაქს, ქვეყანას...

ბევრი ითქვა მის ნიჭიერებაზე, მოკრძალებულობაზე, სიყვარულზე, ფუნჯზე, კალამსა და საჭრეთელზე და ბევრსაც იტყვიან.

ის კი წავიდა. შორს, ცის საუფლოსკენ მიმავალ გზაზე ხელჯოხიანი კაცის სილუეტი მარადისობასთან შესახვედრად მიემართება.

"წახვედი და მაინც აქ ხარ,
შეგინახავს ფიქრები".

ისევ ხმიანობს მისეული სტრიქონები და კრთება ჯემალ ტაბიძე ფილოსოფიური, სევდიანი, ღიმილიანი, მეგობრიანი, სიყვარულიანი, ღრმასიტყვიანი, დიდი და უბრალო-ბრალიანი შემოქმედი.

ტკბილმწარე იყო იმ დღეს ამინდი _ არც მზე და არც ცივი ქარი განებებდა თავს. ცრემლით სავსე ვარცლი დაედგა მწუხარებას. ყვავილთა ჩრდილში დადუმებული იწვა ხელოვანი. ნახატებს კი ენა აედგათ და კედლებიდან ჰყვებოდნენ მხატვარზე.

მთელი მილეთი შეკრებილიყო მასთან უკანასკნელად შესახვედრად. ჯანმიხდილი ხელებით ეფერებოდა დედა კიდევ ერთ, იმქვეყნად გარდასულ შვილს. ცრემლი ალტობდა დაძმურ სიყვარულს. ქანდაკად იდგა პოეტის მუზა, მეუღლე ნინო. ბავშვურად დარდიანი აკვროდა უხმო მწუხარებით გათანგულ მშობლებს ბაბუასერთა ნიტა.

ეს არ ჰგავდა გამოსამშვიდობებელ ცერემონიალს. შემოქმედის კუბოსთან ხელოვნებასა და პოეზიაზე საუბრობდნენ. "ქარში გატანილი სანთელივით" ეფერებოდნენ ჯემალ ტაბიძეს და მისი გეგმებს უკვდავებისთვის სახავდნენ. სიტყვას ლექსი მოჰყვა, ლექსს _ ტაში _ ჯემალ ტაბიძის ცხოვრებაც და შემოქმედებაც ამას იმსახურებდა.

"ჯემალის სახე, ხატი, ჩემთვის დარჩება როგორც ქარის პირისპირ მორბენალი, თავისუფლებისმოყვარე ჭაბუკი, მარადიული ბავშვი. ჯემალი ბავშვობიდან იმ მოხუცის სახეში გარდაისახა, რომელიც თქვენ ყველასაც გახსოვთ. არტისტული, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, სტილიზებულად მოარული ქალაქის ქუჩებში. თვით მოქარგული დატოვა სამტრედია, მოჩუქურთმებული.

ხელოვნების ყველა დარგში თქვა თავისი სიტყვა დამაჯერებელი მხატვრულად და ფსიქოლოგიურად. რითმები, ცდები, არაჩვეულებრივი გამოთქმები, სევდა მარადიული სულიერი ტკივილების, რომელიც ბოლოს ფიზიკურშიც გადაიზარდა. გულისა და ტვინის სიმბოლური ტკივილით აღესრულა ჯემალ ტაბიძე, რომელმაც დატოვა თავისი არაჩვეულებრივი ნატერფალები სამტრედიის და სრულიად საქართველოს ხელოვნების და აკადემიურ სივრცეში". _ ყოვლისმომცველად ახასიათებს ბატონ ჯემალს ფილოლოგი ნინო ტონია.

მეგობარზე საუბარი ეძნელება მხატვარ ზაზა ღურბელეიშვილს: "გაოგნებული ვარ მისი გარდაცვალებით. დიდი ხელოვანი დავკარგეთ სამტრედიელებმა. იგი კიდევ მეტს შექმნიდა ყველა სფეროში. რაიონში რამდენი რამ აქვს გაკეთებული! პოეზიაში ხომ ყველა გაოცებული ჰყავდა ამ ბოლო ჟამს.

ბავშვობიდან ვმეგობრობდი ჯემალთან. ლუკა კოხრეიძესთან, გივი წვერავასთან, გივი ფრანგიშვილთან და მასთან ვარ გაზრდილი. ბევრს ვკამათობდით ხელოვნებაზე, მხატვრობაზე.

ჯემალის ოჯახი სამტრედიაში ხელოვნების ერთ-ერთი განსაკუთრებული ბუდეა, სადაც ყველას უხაროდა მისვლა, სტუმრობა. ძალიან მიჭირს მის გარდაცვალებასთან შეგუება".

"3-4 წელია, რაც ბატონი ჯემალი გავიცანი. როგორც ხელოვანმა, როგორც პიროვნებამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა. მთელ ქალაქში ყველგან ნახავთ მის ხელნაწერს. ძალიან დიდი შემოქმედი იყო და ეს იცის ხალხმაც.

სინანულს გამოვთქვამ, რომ გარდაიცვალა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!" _ განწყობა გაგვიზიარა მხატვარმა იაკობ ჩხიკვაძემ.

"ჯემალ ტაბიძე _ ეს გვარი და სახელი ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, ძალიან ბევრის მთქმელია. ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა რჩეულთა შორის რჩეული შემოქმედი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, მხატვარ-დიზაინერი, პოეტი, ჭეშმარიტად, ღვთისგან ხელდასხმული ხალასი ნიჭისა და ფართო დიაპაზონის მქონე ადამიანი, რომელიც სამართლიანად შედიოდა იმერეთის რეგიონის საუკეთესო მხატვართა ხუთეულში.

ვამაყობ, რომ ჯემალ ტაბიძე ჩემი საუკეთესო მეგობარი გახლდათ. ერისა და ხალხის დიდი მოჭირნახულე მუშა ფუტკარივით მუდამ გარჯასა და ახლის ძიებაში იყო. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, შესძლო საკუთარი არაჩვეულებრივი, მომაჯადოვებელი სამყაროს შექმნა.

ის ხშირად არაფრისგან (დამსხვრეული გიტარის ნაწილებიდან, ძველებური ხალიჩის ნაგლეჯებიდან, სხვადასხვა გამოუსადეგარი ნივთებიდან) ქმნიდა ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს. ცხოვრების ურთულეს გზაზე, "ვით ქედგახეხილი ხარი ნიკორა", თანაბრად ეზიდებოდა ქვეყნის, ოჯახის, შემოქმედის უმძიმეს ტვირთს." _ სათქმელი ბევრი აქვს ხელოვანზე პოეტ აკაკი თევზაძესაც.

"გული დაგვწყვიტა ბატონი ჯემალის გარდაცვალებამ. თითოეული სამტრედიელი უნდა ამაყობდეს, რომ ასეთი შემოქმედი ადამიანი ამშვენებდა რაიონს, ქალაქს. ყოველმხრივ განათლებული, პოეზიაში საუკეთესო, ამავე დროს კარგი გრაფიკოსი.

ლანჩხუთის შემოქმედებითი საზოგადოების წევრებმა გასული წელს შეხვედრა მოვუწყვეთ ბატონ ჯემალს. აღფრთოვანებული დავრჩით. ის ჩვენი ძალიან კარგი მეგობარი იყო, მეტიც, ოჯახის წევრი. არ არსებობდა ჩვენს საზოგადოებაში ჭირი და ლხინი, მას რომ არ გაეზიარებინოს". _ ამბობს დარეჯან ბიწაძე, საზოგადოება "სამებას" თავმჯდომარე, თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმის დირექტორი.

"ეს ურთიერთობა ჭყვიშიდან დაიწყო. _ გვიხსნის საზოგადოება "სამებას" წევრი დიმიტრი ბერიძე. ორიოდე წლის წინ "გალაკტიონობაზე გია ქორიძის მეშვეობით გავიცანით იგი. ბატონი გია პროზაიკოსი გახლდათ, ახალგაზრდა და ბატონ ჯემალზე ბევრად უმცროსი, ჩვენი პატარა სახლის წევრი. ის გასულ წელს გარდაიცვალა". ბატონმა დიმიტრიმ ისიც მოიგონა, ლანჩხუთში შეხვედრაზე სტრიქონები რომ უძღვნა ჯემალ ტაბიძეს. გამოსამშვიდობებელი ლექსი იმ დღესაც წაუკითხა მეგობარს.

ლექსი ჯემალ ტაბიძეს საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის, საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის წევრმა, პოეტმა, შიო მღვიმელის სახელობის პრემიის ლაურეატმა ჯემალ დობორჯგინიძემაც წაუკითხა. ტაში დაეკრათ ხელოვანისთვის, ესეც მისი წინადადება იყო. თითქმის ყოველ საღამოს ვსაუბრობდი მასთან ტელეფონით და ლექსებს ვუკითხავდით ერთმანეთსო, ბატონმა ჯემალ დობორჯგინიძემ. "ძალიან კარგი მეგობრობა გვაკავშირებდა. მხატვრობა ხომ ძალიან საინტერესო აქვს და პოეტიც საინტერესოა. ძალიან დამწყვიტა გული. ჩვენი სურვილია, ჯემალის ლექსები შევკრიბოთ და გამოვცეთ. რაც შეეხება გამოფენას, მას ლანჩხუთში მოვაწყობთ. აუცილებელია, ალბომი დამზადდეს, ამისთვის კი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მივმართავთ დასახმარებლად". _ გვითხრა მან.

ლანჩხუთში შეხვედრა მწერალმა მამუკა ჟორდანიამაც გაიხსენა, თუ როგორ აირჩია ჯემალ ტაბიძის სასაჩუქრე ნახატებიდან ერთ-ერთი, რომელიც სულ მალე გამოსაცემად მომზადებულ მისი რომანის ყდაზე იქნება გამოსახული.

...მერე გზაც გაილია ფიროსმანის ქუჩიდან პანთეონამდე, საიდანაც ჯემალ ტაბიძის შემოქმედება ახალ ცხოვრებას იწყებს.

**ქეთევან ჭელიძე**



## თურმე დიდ ტკივილს სცოდნია...

მეტირება და ვტირი.

თუმცა, განა მარტო მე, მთელი ქალაქი ტირის ჯემალ ტაბიძის გარდაცვალებას.

მასზე ადრე "გავიცანი" მისი ლექსები, ნახატები, მერე ჩვენი გაცნობაც შედგა და აგერ უკვე ოცი წელია, თბილი სალმითა და მოკითხვით ვხვდებოდით ერთურთს.

უბრალო იყო საოცრად.

ნიჭიერი, თვითნაბადი ნიჭის პატრონი.

სულშიჩამწვდომი, სულისშემძვრელია მისი ფრთიანი სიტყვა, ლექსები, ნააზრევი...

ლაღი, ჰაეროვანია... მისი ტილოები...

ზედაპირულობა არ უყვარდა, სულსა და გულს დებდა ყველა საქმეში. ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნაში, არაერთი უიშვიათესი ექსპონატით გაამდიდრა მისი საცავები.

არც ხმაური უყვარდა და ბევრისგან განსხვავებით სხვათა ნიჭის აღიარებასაც არ გაურბოდა, პირიქით, ხარობდა მის გარშემო ნიჭიერ ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას თუ აღმოაჩენდა.

მისი ნიჭის პატრონს სათავისოდ არ გამოუყენებია ქვეყანა და რაიონი.

ვერ ვიხსნებ შემთხვევას, პარტიიდან პარტიაში ემოგზაუროს, საკუთარ თავზე ამაღლებულიყოს და მავანთა დარად "ერის მამობა" დაეჩემებიოს, პირიქით, სისადავითა და უბრალოებით იპყრობდა გარშემომყოფთა ყურადღებას.

სევდიანად, უჯემალტაბიძოდ გაიღვიძა 13 იანვარს სამტრედიამ.

წაქცეული ხე ადვილად იზომებაო, _ უთქვამთ.

მაპატიე, ჩემო ჯემალ, შენი სიდიადე შენს მერე თუ უფრო შევიცანი, ვიდრე მაშინ, ერთმანეთს რომ ვხვდებოდით.

უეჭველად ნათელში დაავანებს შენს სპეტაკ სულს არსთა გამრიგე.

ნათელში იყავი!

**ლევან გაბეჩავა**

## "...ომში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია..."

საქართველოში ამ გვარით დაბადება ჯილდოც არის და სასჯელიც. გალაკტიონისა და ტიციანის, ამ ორი ბუმბერაზი პოეტის მზეს ბევრი ეფიცხება. ჯემალ ტაბიძეს ბუნებამ უხვად და უშურველად დააბერტყა ყველა სიკეთე. ის ამ გვარის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მხატვარი,

პოეტი, სიტყვისა და ფუნჯის დიდებული ოსტატი... მქონდა ბედნიერება, არაერთხელ შევხვედროდი ბატონ ჯემალს. მისი სტუმრობა ჩვენს რედაქციაში ყოველთვის დღესასწაული იყო. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ყოველთვის იბეჭდებოდა საოცარი პოეტური გულწრფელობით გამორჩეული, სამშობლოს სიყვარულით დამუხტული და ჟრჟოლის მომგვრელი მისი ლექსები. მადლობა უფალს, რამდენჯერმე მოვასწარი გაზეთის ფურცლებიდან თბილი სიტყვა მეთქვა ამ უზადო ხელოვანისა და პიროვნებისათვის. ძირითადად ხომ კომპლიმენტებს გარდაცვალების შემდეგ ვიმეტებთ, ის არ იყო თვითრეკლამა, წყნარად, ჩუმად მოღვაწეობდა და არასოდეს ელტვოდა დიდებას. არც "ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ნასუფრალს და წყალობას შესჩერებოდა. ის იყო კაცი ძალიან მაღალი გაგებით. ქვეყანას რომ სჭირდება, ისეთი კაცი იყო. მისი ოჯახი, მისი სახლი არაერთხელ ყოფილა ქვეყნის საუკეთესო შვილების მხატვრების, მწერლების, პოეტების თავშეყრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილი. ნახატებთან ერთად მხატვრის სახლში არაერთი ისეთი ნივთია, სიძველის დამღა რომ აზის. ეს მისი ხელები ანიჭებდნენ სიცოცხლეს ძველ, უსარგებლო ნივთებს, მისი ტალანტი აქცევდა მათ ხელოვნების ნიმუშებად...

განსაკუთრებულად თბილად ამ ოჯახში სტუმრობა მახსენდება, როცა ბატონმა ჯემალმა და მისმა შესანიშნავმა მეუღლემ, მისი ლექსისა და ფუნჯის მუზამ, ნინო ნინუამ თბილი მასპინძლობის შემდეგ წიგნით დამასაჩუქრეს. ბატონ ჯემალს ვთხოვე, მისი ერთ-ერთი ლექსი წიგნზე წაეწერა.

არის რაღაც იდუმალი კავშირი ჯემალ ტაბიძესა და ნიკო ფიროსმანს შორის. სიმბოლურია, ისიც, რომ ბატონი ჯემალი ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდა. ამ წერილს მისივე ლექსით დავასრულებთ, რომლითაც პოეტი და მხატვარი სიცოცხლეში დაუფასებელი გენიის, ნიკალას ხსოვნას უკვდავყოფს:

"ის უსახელო გმირივით მოკვდა
ომში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია,
მერე გაღვივდა ყვავილთა ბუტკო
და გაზაფხული მოვიდა გვიან.
მისი საფლავი მიუსაფარი
შეამკო ყვითელ ფოთოლთა ჯარმა,
და როგორც შვილი უსაყვარლესი
გამოიტირა შეშლილმა ქარმა".

**ნათია ნაცვლიშვილი**

## თქვენ ჩვენთან რჩებით!

მისი გული უფლის, ადამიანთა, ყველა ცოცხალი არსების, სამყაროს სიყვარულს იტევდა. ჰაერივით სუფთა, წყაროსავით ანკარა და ჩიტივით თავისუფალი იყო. უსაშველოდ დაგვაკლდა ყველას, ამ სიცარიელეს ვერაფერი ამოავსებს. თავს იმით ვინუგეშებთ, რომ უფალი ნათელში ამყოფებს და ჩვენს მეგობარს ახლა ღვთისმშობლის კალთა იფარავს.

მადლობა ქვეყნის შემოქმედს, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, დროის გარკვეული მონაკვეთი მის გვერდით გვეცხოვრა. თქვენ ჩვენთან რჩებით, ბატონო ჯემალ, თქვენს ნახატებსა და პოეზიასთან ერთად!

**პატივისცემით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი**

# "მიილია მთვარე დასავლის..."



"ავამეტყველე ხე, ქვა, რკინა, ტილო, ქაღალდი..." ეს მისივე ფრაზაა. ამ რამდენიმე სიტყვით საკუთარი ბიოგრაფია თავად დაწერა. ჯემალ ტაბიძე ისე განერიდა საწუთროს, როგორც მის ლექსებშია _ "კვდება მაესტრო, მიილია მთვარე დასავლით.". ფერი ფერს, რითმა რითმას აყოლილი იცხოვრა ქვეყნად. მისთვის არ არსებობდა უსარგებლო ნივთი, სულს ყველაფერს უპოვიდა, დაინახავდა "საიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება". მარადისობის კანონი მისივე ცხოვრებით დატოვა ფრესკად ქცეული ღირსებით.

ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდა! მე კი არა, ნიკალა არ დააფასესო, ამბობდა ხშირად. დიახ, როგორც ხდება ხოლმე, ახლა აფუსფუსდებიან "კეთილისმსურველები", ახლა დაიწყებენ საუბარს "კომპეტენტურები" დაუნახავ თუ დანახულ ნიჭზე, ახლა გახდება ძვირფასი ყველა ტილო და ყველა ტაეპი... "ერთ მშვენიერ დღეს მოგინდება ჩემთან შეხვედრა, მომიძებნი და ვეღარ მიპოვი"... ეს საყვედური არ ყოფილა მისგან თქმული, არც იმისთვის უთქვამს, რის მაგალითადაც ამ შემთხვევაში მოვიყვანე, თუმცა, მე უკვე მინდა შევხვდე ადამიანს, თბილი ღიმილით და თვალის კუთხეში მიყუჟული სევდით. ჩემს თავს ვეყრდნობიო _ ამბობდა იმ ხის ჯოხზე, თავად რომ გამოთალა, მოაჩუქურთმა. ჯემალ ტაბიძეს სხვა საყრდენი არც სჭირდებოდა! მის გარდა არავინ იცის, მოიგო თუ არა "დუელი თავის თავთან, სახის შეხლა სარკესთან..." ალბათ მოიგო, რადგან ამიერიდან მისივე სიტყვებით მოიგონებენ "წახვედი და მაინც აქ ხარ, შეგინახავს ფიქრები..." მოიგონებენ ისინი, ვინც სიცოცხლეშივე იცნობდა, ვისაც სიცოცხლეშივე ესმოდა კაცის, რომელიც თავის თავს ეყრდნობოდა...

"ჩემი ცოლი ნინო..." მინაწერი სურათზე. უბრალო სიტყვებით ამეტყველებული დიდი სიყვარული, მხატვრის, პოეტის. "უფრო მეტად მენატრები ახლა, როს სიბერე სიჭაბუკეს გლოვობს..." და აცრემლებული ნინოს მოგონება _ ბოლო ნახატი, რომელზეც სთხოვა გადაადგეო, სამსახურიდან შინ დაბრუნებულს რომ დაახვედრა _ თავჩაქინდრული თეთრი ლაქა, ცელიან სიკვდილს დასამგზავრებელი კაცისა... ან თავად სიკვდილი, ჯემალის ფუნჯით დახატული...

"საიდან მოხვალთ თქვენ, ღრუბლებო, ასე დაცლილნი, რომ ჩემს ერდოზე გინდათ ყველა ცრემლი დაღვაროთ" _ ეს იქნებ იმ ღრუბლებზეა, რომელსაც თავადაც გაჰყვა ცრემლის დასაღვრელად, კაცური ცრემლის დასაღვრელად, გამშრალ თვალებში რომ ჩადგება ხოლმე, გამშრალ ბოთლიდან გამოწურული ბოლო წვეთივით...

მოკვდა მაესტრო... "დამშვიდებული წავიდოდა წუთისოფლიდან..." თუმცა ვერც ეს შესძლო, რადგან "მიზნის მიღწევას ერთადერთი ღამე ყოფნიდა". იმ ღამეს კი ნინო უკითხავდა "მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ..."

მაინც მოკვდა მაესტრო... ვისთან შეხვედრაც ძალიან მალე მოენატრება სამტრედიას, რადგან ჯემალი ყველგან არის, ლექსში, ტილოში, ქუჩაში, კაფეში... რადგან აამეტყველა ხე, ქვა, რკინა და რადგან ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდა სუროაყოლილ, მისივე აგებულ სახლში, სადაც ერდოზე ცრემლს ღვრიდნენ დაღლილი ღრუბლები.

**თეა ბაბუნაშვილი**

# წახვედით და მაინც აქ ხართ...

ფიქრებით, იმ მოგონებებით, თქვენთან ურთიერთობა რომ ჰქვია. სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები, და თუ მოკვდები, მერე აბა რისიღა უნდა გეშინოდეს, სიკვდილს იქით ხომ კიდევ უფრო დიდი სიცოცხლეა..." წერისას გოდერძი ჩოხელის სიტყვები ახმიანდა გონებაში, ბატონო ჯემალ.

რა მაწერინებს? _ სითბოს მთესველი კაცის გარდაცვალება.

წინასაგამოფენო სამზადისისას ვიგრძენი თქვენი დიდი მხარდაჭერა. ვიცი, ახლა უფრო ვრწმუნდები, გამონაკლისი არ ვყოფილვარ. იგრძნობოდა, მარტო საკუთარს არ ნაღვლობდით, სხვისიც გტკიოდათ, თქვენს ერდოზე იღვრებოდა ცრემლი ყოველთა.

სულს თანადგომით წამლობდით.

ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, ლექსები გვანიშნებდა შემოქმედობას, თუმცა თქვენ ქმნიდით, წარმოშობდით უმთავრესს _ კეთილ მაგალითს. მეტიც, ასწავლიდით ურთიერთობას.

დასასრულზეც გიფიქრიათ.

ამ დღეებში ბევრს საუბრობდნენ ერთ სევდიან კაცზე. მჯერა, სამომავლოდ მეტს იტყვიან.

ჯემალ ტაბიძის ბოლო დროს გამომზეურებულ პოეზიას გადავავლე თვალი.

ვაი, რომ თქვენივე სიტყვები შეგეფერათ...

"ერთ მშვენიერ დღეს მოგიხდება ჩემთან შეხვედრა,
მომიძებნი და ვეღარსად ვეღარ მიპოვი..."

**შოთა კაკავა**



# ჯემალ ტაბიძე

თავმდაბალი, გამორჩეული ჩაცმის სტილით, დიდი მწვანე სევდიანი თვალებით და რაღაც უცნაური ყოვლისმომცველი ღიმილით დააბიჯებდა თავის მშობლიურ ქალაქში. ყველგან ქართული ჯიშისა და გენის დამახასიათებელ სიცოცხლის კვალს ტოვებდა, და გათავდა...

გარდაიცვალა ჯემალ ტაბიძე...

ამოთენდა სული ზღვასავით მღელვარე და ცასავით უძირო.

ერთნაირად ღრმა, ფილოსოფიური და ლამაზია მისი როგორც პოეზია, ასევე სახვითი შემოქმედება.

გული მტკივა და ეს ტკივილზე რაღაც უფრო მეტია...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული!

**ოჯახისადმი ღრმა თანაგრძნობით და პატივისცემით მაყვალა ჩირგაძე**

# ის ჩვენ გვერდით, ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდა

დიდებული მხატვარი, შემოქმედი, ინტელექტუალური პიროვნება. მისი ნიჭიერების შესახებ ქალბატონ თამარ კორკოტაძისაგან შევიტყვე, როცა ქალთა ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი. მთხოვა დავინტერესებულიყავი. დიდხანს არ დამიყოვნებია. ერთ დღეს ქალბატონ თამართან ერთად ჯემალ ტაბიძის ეზოს ჭიშკარი შევაღეთ. გულთბილად დაგვხვდნენ მასპინძლები, ქალბატონი ნინო, ბატონი ჯემალი და პატარა გიორგი. სახლი-გალერეა, პირველი შთაბეჭდილება მეტად ამაღლებული გამოდგა, მხატვრის სულიერი ემოცია და დახვეწილი გემოვნება ნამუშევრებში მკვეთრად გამოსჭვიოდა. იქვე მივიღეთ გადაწყვეტილება, მისი პერსონალური გამოფენა მოგვეწყო. საბედნიეროდ, რაიონის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებისაგან მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდით. ბატონი ჯემალის ნამუშევრების გამოფენა სახვითი ხელოვნების გალერეაში 1998 წელს მოეწყო. მოწვეული სტუმრები, დამთვალიერებლები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ და მხატვარს დითირამბებით ამკობდნენ ბატონები: გენო გეგეშიძე, ანზორ გრიგოლია, ოთარ შანიძე, მურმან ბერულავა, ლომარ ახობაძე და სხვები მადლობას უხდიდნენ რაიონის ქალთა ორგანიზაციებს ასეთი ნიჭიერი მხატვრის წარმოჩენისთვის. რაც მთავარია, თავად მხატვარი იყო ამაყი და ბედნიერი... ხელოვანი ადამიანები გამოირჩევიან ფაქიზი სულით, თავს არ გახვევენ მის შემოქმედებას, ელოდებიან დამთვალიერებელს, შემფასებელს, სიტყვიერი შექებაც კი დიდ სტიმულს აძლევთ შემოქმედებით საქმიანობაში.

ასეც მოხდა. ბატონი ჯემალის შემოქმედებითი არეალი კიდევ უფრო გაიზარდა. ის აქტიურად მოღვაწეობდა ფერწერისა და გრაფიკის ჟანრში, ხის მხატვრულ დამუშავებამდე, ლანდშაფტისა და ინტერიერის დიზაინზე. ოჯახში სრული ჰარმონია სუფევდა, რასაც ხელს უწყობდა ხელოვნებათმცოდნე მეუღლე, შვილი, რძალი და შვილიშვილი.

ბოლო წლებში ბატონმა ჯემალ ტაბიძემ ბევრი საინტერესო ნამუშევარი შექმნა, სამტრედიაში ყველგან შევხვდებით მისი დიზაინით მოწყობილ კუთხეებს, ინტერიერებს... იგი ხატავდა, ქმნიდა, აკეთებდა, ოსტატურად მოქნილი და შეუდარებელი გახლდათ. სამწუხაროდ, ეს იყო გუშინ.

იგი ლექსებს წერდა, ჯერ უბრალო გატაცებად ჩავთვალე, მერე უფრო ღრმა და ქართულ ფესვებში გადგმული სტრიქონები რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, ეს იყო პოეტის გულისმიერი თქმა მართლისა სიმართლისა, ტაბიძეთა გენმა აქაც იჩინა თავი, დიახ, სამწუხაროდ, იყო გუშინ.

ბატონი ჯემალი ახალი წლის დღეებში ამ საწუთროდან წავიდა უხმოდ, უსიტყვოდ. გულის ტკივილიც თან წაიღო, საყვარელი ოჯახი, ავადმყოფი დედა, რომელსაც თავს ევლებოდა... ახლა ბევრს ვფიქრობდი ხომ არ დაგაკელით ყურადღება, გულდასაწყვეტია, რომ მისი შესაძლებლობების სათანადოდ დაფასება სიცოცხლეშივე ვერ შევძელით. ჯემალ ტაბიძემ კი 58 წლის ასაკში დაგვიტოვა ფაქიზად ხელთქმნილი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელზეც მომავალში ბევრი დაიწერება და ითქმება.

მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები გულწრფელი სინანულით ვემშვიდობებით, ბატონ ჯემალ ტაბიძეს, ჭეშმარიტ ქართველს და სამტრედიელს, ნიჭიერ მხატვარს და ორიგინალურ შემოქმედს. სიმბოლურია, ის რომ ჩვენს გვერდით სამტრედიაში, ფიროსმანის ქუჩაზე ცხოვრობდა.

**ნათელა გელაშვილი**

# "და მგოსნის გული, ბუმბულზე მჩატე"

"სამტრედიის მაცნე" 2015 წელს დაბადების დღეს ულოცავდა ბატონ ჯემალ ტაბიძეს. ამ ადამიანმა გაცნობის დღიდან ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ გული დამწყდა, დაბადების დღის მილოცვა მეც რომ ვერ შევძელი. თუმცა იმ დღესვე დავწერე ბატონ ჯემალისადმი მისალოცი ლექსი და შემდეგი წლისათვის შემოვინახე. ვაი, რომ ბატონი ჯემალი შემდეგ დაბადების დღეს ვერ მოესწრო. დასანანია ასეთი, ღვთივკურთხეული ნიჭის მქონე ადამიანი რომ დააკლდა ქალაქს. ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი სათქმელი დარჩა თავის ხვავრიელ შემოქმედებაში.

ვუსამძიმრებ ბატონ ჯემალის ოჯახს, სამტრედიას და მთელ საქართველოს. ღმერთი ფარავდეს მის ლამაზ სულს.

ჩემი პატივისცემა ბატონ ჯემალისადმი მინდა გამოვხატო ამ ორი ლექსით.

**ჯემალ ტაბიძეს!**

ერთი კალმის მოსმით შესძელ
ორი მუზის მსახურება,
გვარი, ნიჭი ხელს გიწყობდა,
გამკობდა და გამხნევებდა.
შენებური ხელწერა გაქვს,
სხვათაგან რომ გამოგარჩევს,
თან იოლად ჰქმნი შედევრებს,
რისთვისაც სხვა ღამეს ათევს.
ლექსს ან ტილოს სულს ჩაჰბერავ,
დარდიმანდულს, რითაც სუნთქავ,
შტრიხებით შექმნილ სახეში
შენს სულსა და გულს შეფუთავ.
ასე ებრძვი ჟამთასვლას და
უკვდავების ძეგლს იშენებ,
სამტრედიას უყვარხარ და
შენც სამტრედიას ამშვენებ.
იუბილეს მოგილოცავ,
რა ვუყოთ, რომ ხონელი ვარ,
შენი ნიჭის მეხოტბე და
მისი შემამკობელი ვარ.
მრავალჟამიერს გისურვებ,
კვლავ წყალობას ორი მუზის,
მრავალ შედევრის შექმნას და
სიდიადეს იალბუზის.

**სამტრედიის კოლორიტის, უნიჭიერესი შემოქმედის ბატონ ჯემალ ტაბიძის ხსოვნას!**

შენ გაიარე ამქვეყნიური
ცხოვრების გზა და დაღლილხარ ძლიერ,
ილვწოდი, გეცხო მადლი ღვთიური,
ხატავდი, წერდი მრავალჟამიერ.
შენ გაიარე შურში სავალი
შემოქმედის გზა ნარ-ეკლიანი,
შენც გცემდა ზურგში მახვილს მტარვალი
და დადიოდი სულ დარდიანი.
მაინც იბრძოლე, წერე და ხატე,
უკვდავჰყავ, რაც რომ ძლიერ გიყვარდა
და მგოსნის გული, ბუმბულზე მჩატე
მეტის გრძნობისგან ამოგივარდა.
შენ ის გზა განვლე, ჯვარცმა რომ ჰქვია,
ღვთისგან ნაბოძებ ნიჭის ასახვა,
რომ ვერ შევძელით დასანანია,
შენი დიდების ნათლად დანახვა.
თავად იცოდი, ჯერ უნდა მოკვდე,
რომ უკვდავების სხივს ეზიარო,
მარადისობის გზას დაგილოცავ,
თბილო, კეთილო ადამიანო.

**აკაკი რუხაძე**

# დიდი აღიარება, ეროვნული სიამაყე

**ლევან გაბეჩავა**

უძველესი სახელმწიფოებრიობის მქონე ჩვენ ერს დიდი კულტურა, ტრადიციები გაგვაჩნია.

რა ხანია კოსმოსში მოგზაურობს ქართული სიმღერა, მსოფლიოს აოცებს ქართველ მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, ზოგადად, ქართველთა შემოქმედების ცალკეული ნიმუშები.

გასული წელი ''იუნესკომ'' საქართველოსთვის აკაკი წერეთლის წლად გამოაცხადა და იგი გენიალური მგოსნის დაბადების 175-ე, გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავს მიუძღვნა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ცალკეული შემთხვევების გარდა, ქვეყნის მასშტაბით, ამ კუთხით განსაკუთრებული არაფერი გაკეთებულა, თუმცა ისევ და ისევ ქართველმა ''ივაჟკაცა'' და საუკუნის შემდეგ ''გენიალური'' ფრაზა ცენტრალური მედიის საშუალებით გააჟღერა: ერთერთ ცნობილ ფოტოზე, რომელზედაც ახლად განსვენებული მგოსანია აღბეჭდილი, თურმე ფარსი ყოფილა, აკაკი მაშინ ცოცხალი ბრძანებულა, ფოტო კი იმ მოტივით, განზრახვით გადაუღია, მისი მევალეებისათვის რომ დაეგზავნა ვითომ გარდაიცვალაო?!

პოეტის ეკონომიურ გასაჭირზე ცნობილია საყოველთაოდ, მაგრამ არ გვგონია გენიალურ შემოქმედს ისეთი ბოგანო ვინმესგან ესესხოს ფული, რომ ამ ფოტოთი ადვილი ყოფილიყო მის მოტყუება.

ვთქვათ, ასეც იყო, რა ეროვნული პატივის შემცველია ეს აღმოჩენა, რომ პოეტი, რომლის ნიჭსა და შემოქმედებას, მის იუბილესთან დაკავშირებით მსოფლიო აღიარებს, თანამედროვე (ქუჩური) ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არც მეტი, არც ნაკლები გადამგდები, ნამუსიანი სიტყვის გამტეხი... ყოფილა?

მსგავს შემთხვევაზე თუ თქვა ალბათ სულგანათლებულმა ჩვენმა წინაპარმა: პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?

ეს რაც შეეხება დიდ მგოსანსა და მის იუბილეს.

ისევ და ისევ ''იუნესკომ'', ამ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიმდინარე წელი ''ვეფხისტყაოსნის'' წლად გამოაცხადა, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიოში და იგი გენიალური პოემის გენიალური შემქმნელის, უკვდავი შოთა რუსთაველის დაბადების 850-ე წლისთავს მიუძღვნა.

შოთა რუსთაველის პოემის ლიტერატურულ ღირებულებებზე, მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე ამჯერად არაფერს ვიტყვი, თუნდაც იმ გარემოებათა გამო, რომ სპეციალისტები, რუსთველოლოგები, ჩემზე უკეთ იტყვიან სათქმელს.

მაშ, რად გავისარჯეთ, რისი თქმა გვსურს?

მხოლოდ იმის, რომ ერმა თუ ბერმა ჯეროვნად უნდა შევიმეცნოთ ქართველი კაცის გენიალურობის ესოდენ აღიარება.



ყველაფერი უნდა გაკეთდეს ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერში საიმისოდ, რომ საუკუნეების შემდეგ საკადრისი პატივი მივაგოთ დიდი მოაზროვნის უკვდავ სახელსა და შემოქმედებას.

ვიმედოვნებთ, მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, საჯარო სკოლები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გამოეხმაურებიან ლამაზი, შინაარსობრივად დატვირთული ღონისძიებებით, ''იუნესკოს'' ამ გადაწყვეტილებას, რაც მასებში, ახალგაზრდებში ''ვეფხისტყაოსნის'' კიდევ უფრო პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

მაშ ასე, 2016 წელი ''ვეფხისტყაოსნის'' წელია!

# ნიჭიერ პოეტს გაგაცნობთ

**ლევან გაბეჩავა**

ის იქ გავიცანით, სადაც ყველაზე ხშირად იკრიბებიან სამტრედიელი ინტელიგენტები.

პოეტ თემურ ჩალაბაშვილთან ერთად ეწვია იგი სამტრედიას, შეხვედრა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში შედგა.

რატომღაც გაჭედილ დარბაზში არავინ აღმოჩნდა ისეთი, მის პოეზიას რომ იცნობდა, არადა, შესანიშნავი, გულშიჩამწვდომი სტრიქონების ავტორია ჩვენი მეზობელი ხონის რაიონის მკვიდრი ახალგაზრდა პოეტი **ედუარდ უგულავა**.

საათზე მეტ ხანს უსმენდა მონუსხული დარბაზი თემურ ჩალაბაშვილსა და ედუარდ უგულავას.

მასპინძლები სტუმარი პოეტების შემოქმედებით მოვიხიბლეთ, სტუმრებმა კი აღფრთოვანება არ დაფარეს იმის გამო, რომ დარბაზში მსხდომთაგან არაერთმა, განსაკუთრებით კი, ჩვენმა კოლეგამ, ქალბატონმა ნათია ნაცვლიშვილმა და საკრებულოს წევრმა, ბატონმა გოგი ლეჟავამ ქართული მწერლობისადმი, პოეზიისადმი მათი დამოკიდებულება ჩინებულად წარმოაჩინეს.

ერთი სიტყვით, საღამოც შედგა და იდეაც მაშინ დაიბადა _ ბატონი ედუარდის ლექსები, მისი შემოქმედება სამტრედიელებისთვის გაგვეცნო.

საბავშვო ლექსები, ისტორიული ჟანრი...

თავანკარა ქართული მზიანობს პოეტის ლექსებში, სითბოთი, სიყვარულით უმღერის ჩვენ ხვალინდელ დღეს _ მომავალ თაობას, გულგრილად შეუძლებელია წაიკითხო გალაკტიონისა და ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსები.

ეცნობი ახალგაზრდა შემოქმედის წყაროსავით მორაკრაკე სტრიქონებს და უმალ რწმუნდები ყოველი სიტყვის გულწრფელობაში.

პოეტის რამდენიმე ლექსი გვსურს ''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველს გავაცნოთ.

### ზამთარი

მოვიდა თეთრი ფიფქებით,
ზამთარი მკაცრი გუნების.
აფორიაქდნენ ჩიტები,
უცემთ პატარა გულები.
ჩიტებო, ალბათ შეგცივდათ
და ცრემლით ივსებთ შავ თვალებს,
ნუ დარდობთ, ბებოს ვეტყვი და
მოგიქსოვთ თბილ ფრთათათმანებს.
მერე კი ერთად ვიცელქოთ,
სხვაგან რომ დაფრენთ გუნდებად,
ნუ დაღონდებით, ჩიტებო
სულ მალე გაზაფხულდება!

### როგორ მინდა

თენდება და ბინდი ჩუმი
ცას მიპარვით აწყვეტს ღილებს.
მოსწონთ ფერი ალუჩური
მთებს შორეთში აზმორილებს.
კვლავ მსურს ღამე გავათენო,
რომ ზეიმი ვნახო ცისა.
როგორ მინდა საქართველოვ,
გითხრა: დილა მშვიდობისა!

### იავნანას ვერ მღერიან ძიძები

როგორც იქნა შეგიჩვიეს ძიძებმა,
გიამბობენ ზღაპრებს ტკბილი ქართულით,
შენ ღიმილით გიყვარს გამოღვიძება,
ხარ ბავშვი და ცხოვრებასთან არ სტყუი.
ჩემო კარგო, ჯერ არ იცნობ სიყალბეს
და მტირალიც ცისკრის დარად ხმიანობ,
რა თქმა უნდა, გულით უნდა გიყვარდეს,
ვინც გაგზარდა ჩემო ხუჭუჭთმიანო!
მაგრამ მერე, როცა დიდი იქნები,
თქმა არ უნდა, შენც მიხვდები, ღვთისფერო,
იავნანას ვერ მღერიან ძიძები,
იავნანა დედამ უნდა იმღეროს!

***

ახლა კვირტებს შლის მიმალულს
ტყე და ირთვება სიმწვანით.
მე კი სამშობლოს სიყვარულს
ვსწავლობ და მალე ვისწავლი!

***

და რად უნდა დაფიქრება ამას,
ჩვენს იმედებს შენი ცქერა შველის.
უნდა შეძლო და აჯობო მამას,
რადგან შენ ხარ მომავალი ჩვენი!

### გალაკტიონი

თურმე მიწის სიახლოვეს უჩვევი,
ზღვის სილურჯეს და მზის ნათელს ყვარობდა.
მიდიოდა და თბილისის ქუჩები
ცნობდნენ პოეტს, მოსულს სხვა სამყაროდან.
თუმც მის სულში მწარე სევდა მომძიმდა
მაინც შერჩა ძალა ბნელთან ბრძოლისა.
გაზაფხულზე ატმის ყვავილს კოცნიდა,
და ზამთარში _ ფიფქებს პირველ თოვლისას
ვერ გაუგეს, ჰოდა, ისე გაჯავრდა,
რომ ბორკილი შემოიხსნა მაჯიდან,
მერე ფართოდ გამოაღო ფანჯარა
და მშფოთვარე ცისკენ გადაბიჯა.

### დალოცვილია

...იყო ქართლისგან უღელშებმული,
თუმცა, შორს დარჩა მისი ქვეყანა,
და მიწა მუჭით წამოღებული,
გულთან ყოველთვის ახლოს ეყარა.
მერე დაიწყო ტანჯვა-წვალება,
მერე ქარებმა მძლავრად მოჰბერა,
მაგრამ რაინდი სათნოთვალება
ვერ შეაშინა წუთისოფელმა.
კაცი მართალი, კაცი კეთილი,
შიმშილმაც კი ვერ გააგულისა,
ხანდახან თხის რძით გამოკვებილი
მცველი სამშობლოს საგანძურისა,
იმდენად წმინდა ძალამ იშვილა,
მზეც სცნობდა ცაზე ამომავალი.
დალოცვილია თაყაიშვილთა
გვარი და მთელი შთამომავალი.

# ჭაშნიკი

### ღმერთო, ყველაფერი კარგად იქნება!

ღმერთო, წყალობა ხარ და ნუ მომაკლდები,
ვიცი მოსული ხარ, დგახარ, აკაკუნებ,
ხარას მაგონებდა მთაში მონასტერი,
ახლა ცრემლებისგან წურწუმს ვარაწკუნებ.
მუხლი მომეკვეთა გუშინ ცისკრობისას
და შენც ჯარასავით იქვე მომევლინე.
სამჯერ მეც გაგეცი ყიულობისას
გულმა გაგიწია, მაინც მომიკითხე
თავს არ მანებებდა გრძნობები ხენეში
უფსკრული, სიკვდილი, სიშლეგე, ლიმენა,
მეც მინდა თაბორზე ღვთიური ფერები,
ღმერთო ყველაფერი ხომ კარგად იქნება?..

***

თმაში ჭაღარა ნაადრევად შემომპარვია
და ელეგიებს გაშმაგებით ვწერდი დილამდე.
მე რომ ვემდური, იქნებ ჩემი მეგობარია,
დღეს შემოდგომა, როგორც პეტრემ ქრისტე ვიწამე.
სექტემბრის ქარში ტუჩდამსკდარი ლოცვად ვიდექი
და ლოცვის შემდეგ ფარისეველს ვგავდი მიმიკით,
ვხედავ მომავალს, როგორია აქ თუ ვიქნები,
ვხედავ ფოთოლზე არეკლილი მზე რომ მიღიმის.
ზარების რეკვამ კვლავ დამიფრთხო გული ობოლი,
სახლის კედელზე მიყრდნობილან ჭადრის ჩრდილები.
კარგს რასაც ვარქმევ საბოლოოდ რჩება ბოროტი,
ასე თუ დავრჩი, მემუქრება ცოდვის დილეგი.
ჰე, ღმერთო ჩემო! მიპყარ ხელი კეთროვან სულზე
გული წამივა ისე მძიმედ ვსუნთქავ, ეული
როს აშიშინდეს ნაკვერცხალი გაყინულ გულზე,
არ დამიტიროთ, გთხოვთ მიმღეროთ ნანა მეგრული.

### მომაკვდავის წუხილი

სულ ერთ წამში დავკარგე მთელი მარადისობა,
მოშუშებულ იარებს ეკალ-ბარდი ეხვევა.
სულ სხვა მქონდა მიზანი-სიყვარული მინდოდა,
ახლა სული ობოლი დედამიწას ეყრება.
არა, იქნებ დამტოვოთ ზეციურო ძალებო
არაფერი არა მაქვს მე ჯერ მოპოვებული,
ერთი ბღუჯა სიკეთე მქონდა, ისიც წამერთო,
დაკარგული სამოთხის იმედია ეს გული.
მაცხოვარო მომხედე, ცოდვილს მადლი ჩამაცვი,
ვერ დაგიფენ სამოსელს, როცა ჩემში შემოხვალ,
რადგან ვიცი გაგყიდი და ვიყვირებ: ჯვარს აცვით
და მიზეზიც ეს არის
_ კრეტსტამბელის შემოხსნა.
ვერა, ვერ გადავრჩები, მე წარწყმენდა მომელის,
ღმერთო! როგორც მეძავი, მეც შემინდე ცოდვები.
ახლა რა შემიძლია მე _ იარამოფენილს,
ვერ დავადნე ცოდვების ლურჯი იალბუზები.
ზეციურო ძალებო, ნუ წამიყვანთ, დამტოვეთ,
ჩემთვის საშინელია მართლაც უფლის სამსჯავრო
ცოტას შევაკოწიწებ ჩემთვის ნათქვამ მადლობებს,
თორემ სული ობოლი დამძიმდა და გლახაკობს.

### *(მარიამ კაკაშვილს)*

გაზაფხულის მაისობას ჰგავდი,
მზის სხივებით შემოსილი კაბა,
ლოყებწითელს ყინვით გრთავდა მარტი,
შენი ნახვა მზის ამოსვლას გავდა.
და ამ ბნელში ანათებდი თავად,
შენს ღიმილებს გვირილები ითვლიდა
გაზაფხულის მაისობას ჰგავდა
შენი სახე, მზის სხივიც და გვირილა.

***

აქ სინდისს ისე დაეძებენ, როგორც საგანძურს,
მაგრამ მპოვნელი ჯერ ცოტა თუ გამოჩენილა,
აქ აღარაფრად აფასებენ სევდა გადაკრულს,
ჯობდა, სხვების გზას ჩემი თავი გამომერკვია.
წამებს ვითვლიდი, საუკუნე გამექცა უცებ,
სხვების შეცდომებს გადავყევი მთელი ცხოვრება,
როცა გავივლი მე ცოდვების ბნელ საფეხურებს,
ეშმაკს იმ დღიდან ჩემი თავი ემახსოვრება.

***

მე დღეს ცასავით ბედნიერი ვარ,
მკაცრი იერით გაჟღენთილს გიცნობ,
დეკემბერივით მშვენიერია
შენი სხეული, ღიმილი, სითბო.
ახლა წამება ჩემი ხვედრია,
მაწანწალა ვარ და შენს თავს ვითხოვ.
საიქიოში მხსნელი ღმერთია,
ამ ქვეყნად ღმერთი შენა ხარ თითქოს.

*ზურაბ კაკავა*

სპორტი

## ჭიდაობის პროფესორის საიუბილეოდ

საშუალო და უფროსი თაობის სამტრედიელების წინაშე ვახტანგ ბალავაძეს წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება.

სოფელ ღანირში დაბადებულმა კაცმა ჭაბუკობიდანვე, ყმაწვილკაცობიდანვე შორს გაუთქვა სახელი არა მარტო მშობლიურ რაიონს, სრულიად საქართველოს, რამეთუ მსოფლიოში გახადა ცნობილი ქართველი კაცის სიჩაუქე, ნიჭი, ტალანტი.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის არბიტრი, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი... თბილისისა და სამტრედიის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვახტანგ ბალავაძე მიმდინარე წელს იუბილარია, 90 წელი უსრულდება მას.

ვიმედოვნებთ, სპორტული სამყარო ღირსეულად აღნიშნავს ლეგენდარული სპორტსმენის იუბილეს.

აუცილებელია და სასიამოვნო იქნება, თუ ჩვენი რაიონი სათანადოდ გამოეხმაურება სახელოვანი თანამემამულის იუბილეს.

ლევან ბაბეჩავა



# მივიწყებული პოეტი

ლევან ბაბეჩავა



*მხატვარი გივი ფრანგიშვილი ხშირი სტუმარია რედაქციაში. ერთხელ მოვიდა და მომცრო წიგნი მოიტანა, რომელიც ქალბატონ რაისა შენგელიას ლექსების ერთ-ერთი კრებულია.*

*ციცქნა, ლამაზ ლექსებს წერდა, უყვარდა სიცოცხლე, ეტრფოდა გაზაფხულს, საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას, ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას უმღეროდნენ მისი ლექსები.*

*დიდი ხანია ჩვენს შორის აღარაა.*

*_ კარგი ქალბატონი იყო, ერთურთს თბილად ვესალმებოდით, საყურადღებო სტრიქონების ავტორია, თუ შესაძლებელია მოვიგონოთო, გვითხრა ბატონმა გივიმ და წერილის სავარაუდო სათაურიც შემოგვთავაზა _ მივიწყებული პოეტი.*

*ქალბატონ რაისას რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს:*

### ქუჩას მიჰყვება ფეხმძიმე ქალი

ქუჩას მიჰყვება ფეხმძიმე ქალი,
ყველას იმისკენ გაურბის თვალი.
ცისფერთვალებას, თეთრ-ყირმიზ სახით,
მხარზე მოგდებულ ცისფერი ჩანთით.
მადლიერია თავისი ბედის,
პატარა გოგო მიჰყვება გვერდით,
მიდის ამაყად ნირშეუცვლელი,
მამული მისგან იმედს უცქერის.
მიდის, მიჰყვება ქუჩას მზისდარი
დედა, სიკეთით ნაგვირისტალი...
ღმერთო გვიმრავლე, ღმერთო გვიმრავლე
საქართველოში ასეთი ქალი!

### დრო მიდის

დრო მიდის,
ჩემი დღეები
უფრო და უფრო ბინდდება,
დარდი და სევდა იზრდება,
თვალს ცრემლი დაეკიდება.
ვიჩქარი,
თან არ წარვიღო
ჩემი ლხინი და დარდები.
მე ჩემი წიგნით
თუ მექნა,
კვლავ ისევ
დაგებადებით.

***

ოდეს მიწა მიმიღებს
მიწავ, მოგეფერები.
ვცოცხლობ შენით, გჯეროდეს
შენთვის დავიფერფლები.
**ნათელში იყოს!**

## ძმობისა და მეგობრობის ქალაქია სამტრედია

გაცვეთილი ფრაზაა ერთი შეხედვით სათაურად გამოტანილი სიტყვები, თუმცა ჭეშმარიტებას ღაღადებენ.

დღეს იმ ბერძენ კაცზე ვწერთ, საქართველო მეორე სამშობლოდ რომ მიაჩნდა და სამტრედიის სიყვარულში ტოლს ქართველებს არ უდებდა.

1915 წელს თურქეთში დაიბადა ბატონი **იან კონსტანტინეს ძე კონსტანტინიდი.**

ბათუმის ბერძნული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კრასნოდარის სტომატოლოგიური სასწავლებელი დაამთავრა.

ერთხანს ბათუმის პირველ პოლიკლინიკაში იმუშავა.

1939 წელს ბატონმა იანმა ქართველ ელენე გუნცაძეზე იქორწინა და საცხოვრებლად ოჯახთან ერთად სამტრედიაში დამკვიდრდა.

ათეული წლების მანძილზე გახლდათ იან კონსტანტინიდი რაიონული პოლიკლინიკის უფროსი ორთოპედი.

საქმის ჩინებული ცოდნით, პროფესიონალიზმით, სისადავითა და ჰუმანურობით ცნობდნენ და გამოარჩევდნენ სხვებისგან სამტრედიელები ქალაქის კოლორიტ ბერძენ კაცს, რომელიც 1990 წელს გარდაიცვალა.

დღესაც თბილად იგონებენ ბატონ იანს სამტრედიაში.

ამ დღეებში 100 წელი სრულდება მისი დაბადებიდან.

ნათელში იყოს ღვაწლმოსილი მედიკოსის, ბრწყინვალე ადამიანის სპეტაკი სული.

ლევან ბაბეჩავა



### სულიკო ნიჟუას გახსენება

ისევ მოვიდა იანვარი, თქვენი დაბადების დღე და ისევ ვიხსენებთ იმ წლებს, ერთად რომ ვიყავით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული, ჩვენო უღალატო მეგობარო.

ნათელში იყავი!

ვეტერანთა რაიონული კავშირი



### ვალერი ახობაძის გახსენება

მოულოდნელი თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება ჩვენო ვალერი. საოცარი სიცარიელე, სევდა და მწუხარება დაგვიტოვე.

ამ დღეებში 46 წელი შეგისრულდებოდა.

თვალცრემლიანები გილოცავთ, ნათელში იყავი ჩვენო დარდო და დიდო ტკივილო.

ოჯახი



### ლონგინოზ თავაძე

ცოტა ხნის წინ მიწას მივაბარეთ ადამიანი, ვისი უბრალო ბიოგრაფიაც კაცური კაცობის გადაშლილი წიგნი იყო. მისი პატრიოტიზმი საკუთარი ქალაქის სიყვარულიდან იწყებოდა და სრულიად საქართველოსადმი ერთგულებით მთავრდებოდა. იცოდა ქართველობის წესიც და ფასიც. მოზღვავებული ჰქონდა მეგობრობის, მეზობლობის, მოკეთეობის მადლი.

განერიდა საწუთროს, წავიდა სიყვარულით სავსე ადამიანის სახელით. გულისტკივილი დაუტოვა ყველას, ვინც იცნობდა, ვისაც ეძვირფასებოდა. ჩვენ, მის მოსაგონრად დარჩენილები, ვილოცებთ, ნათელი დაუმკვიდროს უფალმა ამქვეყნიური სიკეთისა და უანგარობისთვის.

ნათლული ვალერი თევზაძე



გულისტკივილით გამოვეთხოვეთ მონატრებულ ბიძას, კარგ ადამიანს, დემურ თევზაძეს. მსუბუქი ყოფილიყოს სამშობლოდან შორს მისთვის დაყრილი მიწა.

ვალერი თევზაძე ოჯახით

სამტრედიის ვეტერანთა რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე ბატონი

**გივი რუხაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შპს "არგოს" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ია გოგოლაძისა და ნუკრი მამფორიას ოჯახს დედამთილისა და დედის, ქალბატონი

**ნანის**

გარდაცვალების გამო.

იყიდება კეთილმოწყობილი, ორსართულიანი სახლი, ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

მისამართი ხორავას ქუჩა №25
ტელეფონი 599 411907

## გაციებისას ყელის გაცივება გვირჩევენ

რა პარადოქსულიც არ უნდა მოგეჩვენოთ, გაციებისა თუ სხვა ტიპის რესპირატორულ-ვირუსული დაავადებების დროს კარგია ყელში ყინულივით ცივი წყლის გამოვლება, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ დაავადების საწყის სტადიაზე, მაშინ, როდესაც დიდია "მტრის" შეჩერების შანსი. გამოვლებიდან რამდენიმე საათის შემდეგ უკეთესობა უნდა იგრძნოთ და ყელის ტკივილიც შემცირდეს. გაითვალისწინეთ: არ შეიძლება ამ მეთოდით ბავშვების მკურნალობა. ექსპერიმენტს ნურც დიდებზე ჩაატარებთ, თუ სხეულის ტემპერატურა 38 გრადუსზე მაღალია.

ცივი გამოვლება ყელის გაკაჟების შესანიშნავი მეთოდია. დაიწყეთ ვიდრე ჯანმრთელი ხართ. შეგიძლიათ გამოიყენოთ გვირილის ან გულყვითელას ნაყენი. დაიწყეთ თბილის გამოვლებით და თანდათან გააცივეთ, რომ ყელი მიეჩვიოს დაბალ ტემპერატურას. ორი კვირის შემდეგ ნაყენი უკვე საკმაოდ ცივი უნდა იყოს.

თუ გაციებული ხართ და ყელი გტკივათ, სცადეთ ეს საშუალება _ ჯამში მოათავსეთ 1 სუფრის კოვზი ჟოლოს მურაბა; 1 სუფრის კოვზი თაფლი; 1 სუფრის კოვზი ლიმონის წვენი; 1 სუფრის კოვზი კონიაკი; 1 აბი ასპირინი. დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, კარგად აურიეთ და როცა გაგრილდება, დალიეთ. ამის შემდეგ დაწექით და დაიძინეთ. დილით უკეთ იგრძნობთ თავს.



## სიცხის დამწევი ნატურალური საშუალებები მედიკამენტურზე ბევრად ეფექტურია

ორგანიზმის ტემპერატურული რეაქცია ერთ-ერთი დამცველობითი მექანიზმია.ეს არის ნიშანი იმისა, რომ ორგანიზმი აქტიურად ებრძვის მასში მიმდინარე ანთებით თუ სხვა სახის პროცესებს. აქედან გამომდინარე, ტემპერატურული რეაქციის შესუსტება-შენელება, მისი დათრგუნვა (ანუ სიცხის ხელოვნურად სხვადასხვა მედიკამენტით დაწევა) ხშირ შემთხვევაში ორგანიზმისთვის მავნებელია.

როგორც სპეციალისტები იუწყებიან: 38,5 გრადუსამდე ტემპერატურის მატება საგანგაშოდ არ უნდა მივიჩნიოთ და სასურველია, მის დაწევაში ხელოვნურად არ ჩავერიოთ, თუ, რა თქმა უნდა, ადამიანს არ აღენიშნება კრუნჩხვებისადმი მიდრეკილება. ცხელებას, ზოგადად, უმჯობესია, ნატურალური სიცხის დამწევი (ანტიპირეზული) საშუალებებით ვებრძოლოთ. ამ საშუალებებს შორისაა სხვადასხვა მცენარის ნაყოფი, კვირტი, ფოთოლი, ყვავილი და სხვა. კერძოდ, სიცხის დამწევი ეფექტი განსაკუთრებით კარგად აქვს გამოხატული ჟოლოს, მარწყვის, ალუბლის, წითელი და შავი მოცხარის, ქლიავისა და ფორთოხლის ნაყოფს. ჩამოთვლილი ნაყოფი თუ კენკრა სალიცინის მჟავას გარდა შეიცავს ვიტამინების, ანთების საწინააღმდეგო და იმუნომასტიმულირებელ ნივთიერებებს. შესაბამისად, უფრო ეფექტური და სასარგებლოა, ვიდრე ხელოვნური მედიკამენტები. მითითებული ხილი თუ კენკრა ნებისმიერი სახით შეიძლება გამოიყენოთ ნატურალური ან მურაბის სახით. მურაბა შეგიძლიათ ჩაის დაამატოთ.

სიცხის დამწევი მოქმედებით გამოირჩევა შემდეგი მცენარეებიც: თავშავა, არყის კვირტები, გულყვითელა და ცაცხვის ყვავილი. ყველა მათგანს იმავდროულად ოფლმდენი ეფექტი აქვს. აღნიშნულ მცენარეთა გამოყენებისას უმჯობესია მოამზადოთ მათი ნაყენი. ამისთვის სადილის 2 კოვზ ნედლეულს დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და 2 საათი გააჩერეთ. გაითვალისწინეთ, რომ სიცხის დამწევი და ოფლმდენი ეფექტი აქვს თაფლსაც. ბუნების ეს საოცრება იმავდროულად აძლიერებს იმუნურ სისტემას, გააჩნია ანტიბაქტერიული და ანტივირუსული მოქმედება.






*ისე დარბის ჩვენი ზაზა,*
*თითქოს, ვინმემ გააბრაზა,*
*ორი ბურთი ჩაუგდეს და*
*მან თორმეტი უთავაზა.*
*მოქნილია ტანადობით,*
*მოჭიდავე _ როგორც რინგზე,*
*წარმატება არ აკლია,*
*თასები აქვს თავის სიგრძე.*



**ასლან ბახტაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

დიდხანს გელვაწოთ ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში, მადლიერი პაციენტები, ბედნიერი დღეები გიმრავლოთ უფალმა.

**ბეჟან გოგია და თამაზ ნიკურაძე**

**ბაჩუკი ჩაბრაძეს!**

დედი, ნათლისღების წმინდა დღეს, 19 იანვარს მოევლინე ამ ქვეყანას! უფალმა დაგანათლა მზე და სინათლე გულსა და თვალებში, თავმდაბლობა და სამართლიანობა, ცოდნის ძიება, შენიანების გვერდში დგომა და დაფასება, ასევე, სხვათა ნიჭისა და სიკეთის პატივისცემა, ღვთის მოშიშობა, ადამიანთა ტკივილისა და სიხარულის გულთან მიტანა, შემოქმედებითი ნიჭი, შენი სავალი გზის პოვნა პოეზიაში. მადლობა უფალს ყოველივე ამისთვის!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ვაჟკაცო!

მარად გქონოდეს სიხარული, სიკეთე და შემოქმედებითი სვლა ზენიტში. იბედნიერე შენს ძვირფას ოჯახთან და მეგობრებთან ერთად!

**გულიკო გოგიტიძე**

## ვულოცავთ!

**აჩიკო ფანცულაიას!**

ძალიან კეთილ, მზრუნველ და ერთგულ ახალგაზრდას, აჩიკო ფანცულაიას დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. უამრავი სიხარული, ბედნიერება და სიყვარული მოეტანოს მისთვის 2016 წლის შემობრძანებას! აჩიკუნა, შენმა უდარდელმა, ლამაზმა ბავშვობამ ჩემს თვალწინ გაირბინა. მინდა, მომავალიც ასევე ლალი და ბედნიერი დღეებით სავსე გქონდეს. მალე დედიკოს და მამიკოს გული შენი დაწყვილებით გაგეხარებინოს!

**ნინო ნანიტაშვილი**

**ჩვენო საყვარელო აჩი!**

"სახლი თანადგომას" თანამშრომლები დაბადების დღეს, 26 წლის შესრულებას დიდი სიყვარულით ულოცავენ აჩიკო ფანცულაიას, უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.



**სოფო მიქაძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს. ჩემო საყვარელო სოფო. მზეგრძელობა, სიხარული, წარმატებები უხვად დაგებედოს.

**ანანო პაპავა**



რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა